პროფესიულიგანათლება

N 2(5)'22

Schweizerische Eidgenossenschaft
Confédération suisse
Confederazione Svizzera
Confederaziun svizra

Swiss Agency for Development and Cooperation SDC

საქართველოს
განათლებისა და
მეცნიერების
სამინისტრო

Georgian Farmers' Association
საქართველოს ფერმერთა ასოციაცია

UNDP

ლადო დანელია

მზარეული

სწავლობდა კოლეჯ „ჰორიზონტში“ მზარეულის პროგრამაზე. საწარმოო პრაქტიკის დასრულების შემდეგ დასაქმდა ოზურგეთის რესტორან „გურიაში“ მზარეულად, შემდეგ – სასტუმრო „პარაგრაფში“ სუშეფად. რამდენიმე თვე მუშაობდა დუბაის ერთ-ერთ საუკეთესო რესტორანში. ამჟამად მუშაობს შპს „პირველ სავაჭრო სახლში“ შეფმზარეულად.

როგორც კომპეტენტური და თვითგანვითარებაზე ორიენტირებული ახალგაზრდა, კოლეჯმა ის 2021 წლის საშემოდგომო მიღების პროცესში ჩართო – მონაწილეობდა სტუდენტთა შესარჩევი კომისიის მუშაობაში. სწავლის პერიოდში გამოირჩეოდა პასუხისმგებლობით, წესრიგის სიყვარულით, კარგი სწავლით და საკუთარ თავზე დაუღალავი მუშაობით.

ლადო დანელია:

პირველ რიგში, მინდა, დიდი მადლობა გადავუხადო კოლეჯ „ჰორიზონტს“ და ქალბატონებს – ნანა ჯოლიას და ნანა ფაჩუაშვილს, და ასევე ყველა პედაგოგს. კოლეჯმა დიდი გავლენა იქონია ჩემს განვითარებაზე და სამომავლო კარიერაზე. უნდა იყო მიზანდასახული და შენი არჩეული პროფესიის სიყვარულით თავდაუზოგავად იშრომო. რაც მე შევძელი, ბევრი ღამის თენების შედეგია. კიდევ ბევრი გზა მაქვს გასავლელი, სულ სიახლის ძიებაში ვარ. უფრო მეტად განვითარებისთვის, იმისთვის, რომ შევქმნა გემრიელი და საინტერესო კერძები.

წარმატებებს ვუსურვებ ყველას, ვინც სწავლობს და პროფესიას ირჩევს.

შინაარსი

2 ნინო ელბაქიძე
პროფესიული არჩევანი – საქმე, რომელიც გიყვარს

3 **საერთაშორისო პროექტები**
ნასტასია არაბული
უკრაინულ პროექტ „პროფესიების ქალაქს“ 2022 წელს თბილისი უმასპინძლებს
მარინა თბილისიდან და ტატიანა კიევიდან თბილისში „პროფესიების ქალაქს“ ააშენებენ

9 **პროფესიული განათლების პოლიტიკა**
ნასტასია არაბული
ავტორიზაციის სტანდარტები და დანერგვის გამოწვევები

14 **საერთაშორისო თანამშრომლობა**
ნასტასია არაბული
კოლეჯების განვითარების ფონდის მიერ განხორციელებული პროექტები

17 **მასწავლებლის გვერდი**
შორენა ტყეშელაშვილი
მეწარმეობა, როგორც კომპეტენცია. ახალი მოდული მეწარმეობაში კოლეჯის სტუდენტებისთვის

20 **პროფესიული კოლეჯი**
შორენა ტყეშელაშვილი
„ფაზისი“ – პროფესიული განათლება ფოთში

26 **გაიცანი პროფესია**
შორენა ტყეშელაშვილი
მეხილეობა – პროფესია დიდი პერსპექტივებით

30 **პროფესიული განათლების მასწავლებელი**
შორენა ტყეშელაშვილი
მუდმივი ზრდა და განვითარება – პროფესიული განათლების მასწავლებლის პიმენ ნაცვლიშვილის წარმატების ფორმულა

34 **პროფესიულის სტუდენტი**
შორენა ტყეშელაშვილი
საჭირო დროს, საჭირო ადგილზე პროფესიული ცოდნით – ლოჯისტ ანა ბერაიას წარმატების ისტორია

36 **კვლევა**
ნინო ელბაქიძე
კომპანიის ინსტრუქტორი – პროფესიული მასწავლებლის ახალი კატეგორია
კვლევის შედეგების მიმოხილვა და ზოგადი ტენდენციები

40 **პროფესიული განათლება**
თამარ ალადაშვილი
გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მისია

პროფესიულიგანათლება

N 2(5)·22

ჟურნალი „პროფესიული განათლება“ გამოიცემა ფერმერთა ასოციაციისა და გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიის მთავრობის ხელშეწყობით. გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ჟურნალის ავტორებს და შესაძლოა არ ასახავდეს UNDP-სა და შვეიცარიის მთავრობის თვალსაზრისს.

მთავარი რედაქტორი
ნატალია ინგოროყვა

დიზაინერი
ბესიკ დანელია

სტილის რედაქტორი
ირმა ტაველიძე

ფოტოგრაფია
ირმა გაჩეჩილაძე

ლოგოს დიზაინი
მარიამ ელიზბარაშვილი

სარედაქციო კოლეგია

ნინო ელბაქიძე – სარედაქციო კოლეგიის ხელმძღვანელი, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროფესიული განათლების პოლიტიკის სპეციალისტი

ნიკოლოზ მესხიშვილი – ფერმერთა ასოციაცია საგანმანათლებლო პროგრამების ოფიცერი

თამარ ქიტიაშვილი – უნარების სააგენტოს გენერალური დირექტორი

გიორგი ნანობაშვილი – გაეროს განვითარების ეკონომიკური გუნდის ხელმძღვანელი

თეა გულუა – გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) ინოვაციების და ცოდნის მართვის სპეციალისტი

გიორგი პერტაია – სავაჭრო სამრეწველო პალატის პრეზიდენტი

გამოქვეყნებული მასალები არის ჟურნალ „პროფესიული განათლების“ ინტელექტუალური საკუთრება და ყველა უფლება დაცულია.

გარეკანზე: ცირა ბარბაქაძის ფოტო

ნინო ელბაქიძე

პროფესიული არჩევანი – საქმე, რომელიც მიყვარს

ჩვენი ყოველდღიურობა რუტინაა, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი სამსახურია, იქნება ეს პანდემიის პირობებში დისტანციურად მუშაობა თუ ოფისებში ადგილზე და პირისპირ.

რამდენი ადამიანიცაა, იმდენი დამოკიდებულებაა სამსახურის მიმართ და ფაქტი ერთია: ზრდასრული დასაქმებული ადამიანები ცხოვრების დიდ ნაწილს სამსახურში ატარებენ.

ვისაც თავისი სამსახური უყვარს, საქმის კეთებისკენ მიუხარია – მას უკიდეგანოდ გაუმართლა. თუმცა ეს მხოლოდ გამართლება არ გახლავთ. აკეთებდე საქმეს, რომელიც შენია – ამ ბედნიერების განცდამდე საჭიროა ცხოვრებაში სწორი არჩევანის გაკეთება.

საქართველოში ჯერ კიდევ დიდია ოჯახის გავლენა იმაზე, თუ რა პროფესიას აირჩევს მოზარდი. დედას ერთი პროფესია მოსწონს, მამას – მეორე, ბებია-ბაბუა საერთოდ სხვა წარმოდგენისაა შვილიშვილის პროფესიულ მომავალზე. ზოგიერთი მშობელი საზღვარგარეთ წასვლას ხედავს გადარჩენის ერთადერთ გზად და ეს თინეიჯერობის ასაკში და საზოგადოებაშიც დიდ მიღწევად ითვლება. რა თქმა უნდა, სწავლა ყველგან, ყველა ფორმით სასურველი და კარგია, მით უმეტეს, საზღვარგარეთ სწავლის საწინააღმდეგო ვის რა უნდა ჰქონდეს, მაგრამ ყველაზე მთავარი მაინც ხარ შენ. შენ ხარ, ვინც პროფესიას ირჩევ. ეს საქმე შენი ნაწილი უნდა გახდეს და დილის გათენება უნდა გიხაროდეს, რადგან საყვარელი საქმე გელოდება.

პროფესიის არჩევა უმნიშვნელოვანესი საქმეა. როგორც ექსპერტები ვარუდობენ, 21-ე საუკუნის ადამიანი ცხოვრებაში პროფესიას დაახლოებით ექვსჯერ შეიცვლის და ეს სრულიად ნორმალურია. საქმე, რომელიც დღეს გაინტერესებს, შესაძლებელია, დროთა განმავლობაში აღარ იყოს შენი ინტერესის საგანი, მაგრამ მნიშვნელოვანია, რომ საქმე, რომელსაც აკეთებ, ორ მისიას ასრულებდეს: სიხარული და შემოსავალი მოჰქონდეს შენთვის და სარგებელი – სხვისთვის.

შენზე უკეთესად არავინ იცნობს შენს შესაძლებლობებს, ინტერესსა და მისწრაფებებს. უნდა მოუსმინო, რა თქმა უნდა, რას გთავაზობენ ადამიანები, რომლებისთვისაც უმნიშვნელოვანესი ხარ, მაგრამ შენ უნდა მოუსმინო ყველაზე მთავარს: საკუთარ თავს. პროფესია, რომელიც შენში ინტერესს აღძრავს, გიზიდავს, შენია.

სასურველი პროფესიის შერჩევას შემდეგი ეტაპი მოსდევს: უნდა გამოიკვლიო, დასაქმების რა შანსი არსებობს და ვინ არიან ამ კონკრეტული პროფესიის ძალიან წარმატებული წარმომადგენლები. არ მოგერიდოს, დაუკავშირდი მათ, აიღე ინიციატივა, გაიგე, მათი წარმატება საიდან დაიწყო, ისწავლე მათ წარმატებაზე. არ დაუმალო, რომ მათგან სწავლა გინდა. დარგის ექსპერტებსა და წარმატებულ ადამიანებს ძალიან ახარებთ ახალგაზრდებისთვის გამოცდილების გაზიარება.

პროფესიაში წარმატებას ერთი აუცილებელი პირობა აქვს: შრომა! შრომაში იგულისხმება პროფესიისათვის საჭირო თეორიული ცოდნის მიღება და დარგის სპეციალისტისათვის აუცილებელი უნარების ათვისება. იმისათვის, რომ დილის გათენება შენი საყვარელი საქმის კეთებით იწყებოდეს, შენ ბევრი უნდა იშრომო. შრომას ყოველთვის აქვს შედეგი. უშედეგო შრომა არ არსებობს. ის რაღაც ფორმით მაინც ვლინდება და ადამიანს წინსვლაში ეხმარება. დღეს ნასწავლი შენ ხვალ აუცილებლად გამოგადგება და თან სხვადასხვა ფორმით.

ამიტომაც ვურჩევდი მოზარდებს: იმას, რისი თქმის უფლებასაც ჩემი გამოცდილება მაძლევს. აირჩიე იმის კეთება, რაც გიყვარს, რაც შენია. მოუსმინე საკუთარ თავს, ისწავლე და იშრომე მიზნისთვის და შენ აუცილებლად იქნები ადამიანი, რომელსაც უხარია ყოველი დღის გათენება და იცის რომ საყვარელ საქმეს აკეთებს, სიხარულით.

უკრაინულ პროექტ „პროფესიების ქალაქს“ 2022 წელს თბილისი უმასპინძლებს

მარინა თბილისიდან და ტატიანა კიევიდან თბილისში „პროფესიების ქალაქს“ აუშენებენ

ნასტასია პრაბული

უკრაინაში უკვე 7 წელია, არსებობს ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი წარმატებული პროექტი „პროფესიების ქალაქი“, რომელშიც 52 ქალაქი და მილიონზე მეტი ბავშვია ჩართული. საომარ მდგომარეობაში მყოფ უკრაინაში, 2022 წელს, „პროფესიების ქალაქი“ ვეღარ აშენდება, თუმცა, პროექტის ავტორების ძალისხმევითა და საქართველოს პროფესიული უნარების სააგენტოს დახმარებით, ეს პროექტი პირველად განხორციელდება საქართველოში, თბილისში. „პროფესიების ქალაქის“ იდეა, წლების წინ, ტატიანა ლიულკას მოუვიდა, მალევე მეგობრები და თანამოაზრეები შემოიკრიბა და განხორციელებული იდეა მოსალოდნელზე წარმატებული აღმოჩნდა. დღეს ტატიანა ლიულკა კიევიდან და მისი კოლეგა და მეგობარი – მარინა ჩობანიანი თბილისიდან ერთად გეგმავენ, როგორ შეუნარჩუნონ სიცოცხლე პროექტს და როგორ მოაწყონ თბილისში „პროფესიების ქალაქი“.

მარინა, ვიცით, რომ თბილისში ხართ, ომის გამო კიევში დაბრუნებას ვერ ახერხებთ და ცდილობთ, აქ გააგრძელოთ თქვენი საქმე და პროექტი. მხარდაჭერაც მიიღეთ პროფესიული უნარების სააგენტოსგან „პროფესიების ქალაქის“ ასაშენებლად.

მე თბილისში ვარ, ჩემი კოლეგა და მეგობარი, ვისთან ერთადაც ამ პროექტს ვაკეთებდი წლების განმავლობაში, კიევშია, ბელაცერკვაში. მე ბებია მყავდა ქართველი და საქართველო ჩემი ისეთივე სამშობლოა, როგორც უკრაინა. ამიტომ აქ ხშირად ჩამოვდივარ ხოლმე. ახლაც თბილისში ომის დაწყებამდე ჩამოვედი, სულ ერთი თვით ვიყავი ჩამოსული და ზუსტად იმ დღეს უნდა დავბრუნებულიყავი კიევში, როცა ომი დაიწყო. ყველაფერი დაიკეტა, ფრენები შეწყდა და მეც აქ შემოვრჩი. მეგობრებმა მითხრეს, რომ შეეძლოთ დავეკავშირებინე პროფესიული უნარების სააგენტოსთან. ეს შესაძლებლობა გამოვიყენე და ახლა ერთად ვმუშაობთ ამ პროექტზე.

არ არის ადვილი ომის პარალელურად ამ პროექტზე ფიქრი, მაგრამ შესაძლებელია. ყველა ის ადამიანი, ვისთან ერთადაც ამას ვაკეთებდი, უკრაინაში რჩება და ერთად დისტანციურად ვმუშაობთ. მეც და ისინიც პარალელურად ჩვენს ქალაქზე, ჩვენი ოჯახის წევრების უსაფრთხოებაზე ვფიქრობთ და ვზრუნავთ. უკრაინელებს დღეს მარტივი დრო არ გვიდგას, მაგრამ ჩვენ გვინდა, ზუსტად ახლა, როცა რუსეთი საცხოვრებელ სახლებს და ბავშვებს ბომბავს, ხალხი საკუთარი სახლებიდან გარბის თავის გადასარჩენად, შევინარჩუნოთ ეს პროგრამა, რომელიც ზუსტად ბავშვებისთვის უკეთესი მომავლის შექმნას ემსახურებოდა. ამას ჩვენთვის პრინციპული მნიშვნელობაც აქვს და სიმბოლური დატვირთვაც. ცხოვრება გრძელდება ყველაფრის მიუხედავად და ჩვენ გვინდა, ჩვენი საქმეც გავაგრძელოთ. ესეც ნაწილია გამარჯვების – უარი არ ვთქვათ იმაზე, რაც ომს უნდა, რომ გაანადგუროს.

ჩემთვის ეს ომი არა მხოლოდ ჩემი ქვეყნის ომი, თითოეული ადამიანის პირადი ომიც არის: ჩემი მეგობრები, ვინც უკრაინაში დარჩნენ, იბრძვიან და ასე ცდილობენ საკუთარი ქალაქების დაცვას. ისინი, ვინც ბავშვები ომს გაარიდა და ქვეყანა დატოვა, სხვადასხვა წერტილიდან ეხმარებიან უკრაინას წამლების შეგროვებით, სისხლის გაგზავნით.

მარინა ჩობანიანი

ჩვენ, ყველას მტკიცედ გვჯერა, რომ ამ ომში გავიმარჯვებთ და სამყარო დაინახავს, რომ უკრაინელებს არა მხოლოდ კარგად ბრძოლა, კარგი საქმეების კეთებაც შეგვიძლია მშვიდობის დროს. „პროფესიების ქალაქის“ საქართველოში გადმოტანაც ამის მცდელობაა. ჩვენ არა მხოლოდ საკუთარი სამშობლო გვაქვს, რომელსაც ახლა ვიცავთ მტრისგან, ბევრი ისეთი ღირებული რამეც შეგვიქმნია, რაც სხვებსაც გამოადგება და ჩვენ მზად ვართ, ეს ჩვენი ღირებულებები ყველას გავუზიაროთ.

ტატიანა, თქვენ ოჯახთან, შვილებთან ერთად კიევში ხართ, სადაც პერიოდულად ბომბები ცვივა. ალბათ წარმოუდგენლად ძნელია ამ დროს იმაზე ფიქრი და მუშაობა, როგორ გადაიტანო შენი პროექტი სხვა ქალაქში, სხვა ქვეყანაში.

კი, კიევში ნამდვილად ცვივა ბომბები, თუმცა ჩვენი ჯარისკაცები გმირულად იგერიებენ შემოტევებს და კონტრშეტევებზეც გადადიან. მე ადგილობრივ სამხედრო შტაბში ვმუშაობ და ვეხმარები მათ, როგორც შემიძლია. მთელი ოჯახის გადაწყვეტილება იყო, რომ არ დაგვეტოვებინა ქვეყანა და დავრჩენილიყავით აქ გამარჯვებამდე. ადვილი არ არის ამ ვითარებაში ომის გარდა სხვა რაიმეზე ფიქრი, თუმცა ძალიან სასიამოვნოა იმის ცოდნა, რომ საქმე, რომელიც გვიყვარს და რომელსაც ამდენი ხანი ვაკეთებდით, ომის გამო არ გაჩერდება და სხვა ქალაქში, თუნდაც უფრო მცირე მასშტაბით გაგრძელდება.



ვგეგმავდით, წელს ეს პროექტი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაგვეტანა, რაც, ცხადია, ვერ გამოვა. საქართველოში მისი განხორციელება დიდ ბედნიერებას გვანიჭებს. დიდი იმედი გვაქვს, ქართული ბიზნესი და სახელმწიფო ორგანოები, ასევე მედია სათანადო მხარდაჭერას გამოუცხდებენ ამ პროექტს და დარწმუნებული ვარ, მას ქართველი ბავშვებიც ისე შეიყვარებენ, როგორც უკრაინელმა ბავშვებმა შეიყვარეს. ერთხელ უკვე გვქონდა ამ პროექტის უკრაინის ფარგლებს გარეთ, ყირგიზეთში ჩატარების მცდელობა და წარმოუდგენლად დიდი წარმატება ჰქონდა მას.

უფრო კონკრეტულად, რაში მდგომარეობს „პროფესიების ქალაქის“ იდეა?

მარინა: ეს საბავშვო და სოციალური პროექტია, რომელსაც სხვადასხვა ქალაქში ვაკეთებთ ხოლმე. ვეძებთ ქალაქებში ისეთ პარკებს, სადაც შესაძლოა მოეწყოს სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისთვის მაქსიმალურად რეალისტური გარემო, სადაც თავიანთი ძალების მოსინჯვა შეუძლიათ ბავშვებს და იმაში გარკვევა, რას აკეთებენ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები სამსახურში. 3 წლიდან იწყება იმ ბავშვების ასაკი, ვინც ჩვენს აქტივობებში მონაწილეობს. პატარებისთვის ეს ძირითადად გართობაა, დიდებს ინტერესების აღმოჩენასა და პროფესიების არჩევაშიც ეხმარება.

ტატიანა: ამ პროექტის იდეა მაშინ გამიჩნდა, როცა 2014 წელს რუსეთმა ომი დაიწყო უკრაინაში. მივხვდი, რომ მნიშვნელოვანი იყო, ეს პერიოდი ახალი ღირებულებების და დღის წესრიგის ჩამოყალიბებისთვის გამოგვეყენებინა. სხვა რამეებთან ერთად იმაზეც ვფიქრობდი, როგორ ირჩევენ ადამიანები პროფესიას. არსებობს სტატისტიკა, რომელიც აჩვენებს, რომ ადამიანების ნახევარზე მეტი - 52% უმაღლესი სასწავლებლის დასრულების შემდეგ თავისი პროფესიით არ აგრძელებს მუშაობას და თუ ეს ასეა, რატომ კარგავენ ადამიანები თავიანთი ცხოვრების 5, 6, ზოგჯერ მეტ წელს იმის კეთებასა და სწავლაში, რაც არ აინტერესებთ, რასაც მერე არ იყენებენ? ვფიქრობდი, რა შეიძლება გამეკეთებინა იმისთვის, რომ ბავშვებს მშობლების ზეგავლენით არ აერჩიათ პროფესიები და მოეხერხებინათ იმის სწავლა, რაც აინტერესებთ, რაც შეუძლიათ სიამოვნებით აკეთონ.

პირველად პროფესიების ქალაქი ბავშვთა უფლებების დაცვის დღეს მოვაწყვეთ, 1 ივნისს. სულ მაწუხებდა, რომ ამ დღეს ბავშვები უფროსებისგან მხოლოდ ბუშტებს და ნაყინებს იღებდნენ. მინდოდა, მათთვის მიგვეცა დაუვიწყარი თავგადასავალი და შესაძლებლობა, გამოეცადათ, როგორია უფროსების ცხოვრება. ჩვენს ღონისძიებებზე ბავშვებს არავინ უტარებს მასტერკლასებს, ჩვენს ღონისძიებებზე ბავშვებს შეუძლიათ თავით გადაეშვან ნებისმიერ პროფესიაში, დაამზადონ წამლები, ჩააქრონ ხანძარი, აიღონ ინტერვიუ, გამოაცხონ პური ან ააშენონ კედელი ნამდვილი აგურებითა და ცემენტით.

ისეთი „ქალაქების“ აწყობას, რაზეც თქვენ ლაპარაკობთ, ცოტა რესურსი არ დასჭირდება და ამ საქმეში, ალბათ, ბევრი ვინმეა ჩართული: ბიზნესი, ქალაქები, პროფესიული სასწავლებლები, საგანმანათლებლო დაწესებულებები. როგორ შოულობთ საჭირო ფინანსებსა და მხარდაჭერას?

ტატიანა ლიულკა

ტატიანა: ორი რამ გვეხმარება. ერთი – ის, რომ ზუსტად ვითვლით ჩვენს ღონისძიებებზე მოსული ბავშვების რაოდენობას. ყველა ბავშვს, ვინც მოდის ბაზრობაზე, ვაძლევთ დიპლომს, სადაც აღნიშნულია, რა პროფესიებს დაეუფლა იმ დღეს. მათ ეს მოწონთ, ჩვენ კი ზუსტ მონაცემებს ვაგროვებთ. ჩვენს ღონისძიებებზე მოსული ადამიანების რიცხვი ყოველთვის შთამბეჭდავია, რაც გვეხმარება სპონსორების დარწმუნებაში, ითანამშრომლონ ჩვენთან. მეორე თვითონ ამ ღონისძიებების უსაზღვრო პოპულარობა და წარმატებულობაა. ბიზნესსა და მარკეტინგში არსებობს ცნება – სოციალური პასუხისმგებლობა, რომელიც ყოველთვის კარგად არ ესმით ხოლმე კომპანიებს. ჩვენ ვეუბნებით ყველას, რომ არ სჭირდებათ ბავშვებსა და ახალგაზრდებს თქვენი კანფეტები დღესასწაულებზე, მისალოცი ბარათები და ბუშტები. მათ სჭირდებათ თავგადასავალი, მათ სჭირდებათ, იცოდნენ, როგორ მუშაობთ თქვენ და მერე თავად შეგიყვარებენ, მოინდომებენ თქვენი პროდუქტის შეძენას, თქვენი სერვისით სარგებლობას, თქვენთან მუშაობასაც კი. „პროფესიების ქალაქებში“ მონაწილეობით ისეთ კომპანიებსაც კი უკეთესი ურთიერთობა აქვთ მომხმარებლებთან, არსად არავის რომ არ უყვარს, მაგალითად, გაზის კომპანია, რომლისგანაც მხოლოდ გადასახადის ქვითრებს იღებ. ჩვენს ღონისძიებებზე მათ ისეთი კარგი აქტივობები აქვთ, ისეთ კარგ დროს ატარებენ ბავშვებიც და უფროსებიც, რომ როცა ქვითარი მისდით, ისევ იმას ფიქრობენ, რა კარგი ფოტო გადაიღეს მათ სტენდთან, ან როგორი სასარგებლო იყო, სუნით გაზის კონცენტრაციის შემოწმება რომ ისწავლეს. არავინ ელოდა, მაგრამ ბავშვები ჩვენი ფესტივალების შემდეგ მშობლებს სთხოვენ, ბენზინი

ჩაასხან იმ ბენზინგასამართ სადგურებში, რომლებიც „პროფესიების ქალაქებში“ იყო წარმოდგენილი, იმის გამო, რომ მათ ცნობენ და მათთან კარგი მოგონებები აკავშირებთ.

ამ პროექტს ანალოგი არ აქვს მსოფლიოში. ის სრულიად უფასოა ბავშვებისთვის და ასევე კარგი საშუალებაა კომპანიების მარკეტინგული აქტივობებისთვის. და რაც მთავარია, აქ არაფერია ხელოვნური, ყველაფერი ნამდვილია: სახანძრო მანქანა, ლაბორატორიები, ბანკომატები, აგურები, პროფესიონალები, ვინც ბავშვებს ელაპარაკებიან და აცნობენ პროფესიებს.

სტატისტიკა ნამდვილად ძალიან მნიშვნელოვანია როგორც თქვენთვის, ასევე სპონსორებისთვის. თუ გაქვთ რეალური შედეგები, რა გავლენას ახდენს ეს ფესტივალები ახალგაზრდებზე პროფესიის არჩევისას?

ტატიანა: ჩვენ უკვე გვყავს ბავშვები, რომლებიც ყოველ წელს მონაწილეობდნენ ჩვენს ღონისძიებებში და მათი რაოდენობა არ არ არის მცირე. გვყავს ისეთი ახალგაზრდა მონაწილეებიც, რომლებიც უკვე სწავლობენ უნივერსიტეტებში, მაგრამ ჯერაც არ იციან მყარად, რა უნდა იყოს მათი პროფესია და ჩვენთან ცდილობენ ამ კითხვებზე პასუხების გაცემას. რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ბავშვები მოდიან მშობლებთან ერთად, რომლებსაც ცალკე ველაპარაკებით და ვუხსნით, რომ ბავშვის არჩევანში არ უნდა ჩაერიონ, უნდა მისცენ მას თავისუფლება, მოსინჯოს ძალები სხვადასხვა მიმართულებით და ისე გადაწყვიტოს, რა უნდა. ბოლო წლებში HR-ებიც დავამატეთ მშობლებისთვის, რათა მიაწოდონ მათ ინფორმაცია ახალი, მოთხოვნადი პროფესიების შესახებ.

საბოლოოდ, ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, შედეგს იძლევა.

როგორ ფიქრობთ, როგორი იქნება „პროფესიების ქალაქი“ თბილისში, რომლის გაკეთებასაც აპრილში გეგმავთ?

მარინა: ჩვენ აქაც ვეძებთ კერძო კომპანიებს, სახელმწიფო სტრუქტურებს, კოლეჯებს და პროფესიულ სასწავლებლებს კონკრეტული პროფილებით, რომლებსაც შეუძლიათ, თავიანთი საქმიანობა გააცნონ ბავშვებს. ვეძებთ ასევე პარკს, სადაც ამას გავაკეთებთ: ყველა ადგილი არ არის შესაბამისი ასეთი ღონისძიებებისთვის. გვაქვს რიგი კრიტერიუმები, რომლებსაც სივრცე უნდა აკმაყოფილებდეს. უკრაინაში გვყავს სპონსორები და ეს სისტემა აწყობილია. აქ ახლა ვაწყობთ ყველაფერს. ყველა ქალაქს თავისი სპეციფიკა აქვს და ესეც გასათვალისწინებელია დაგეგმვისას.

უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ხშირია მსჯელობა იმაზე, რომ საქართველოს ხელისუფლება საკმარისად არ ირჯება უკრაინის დასახმარებლად. თქვენი პროექტი აჩვენებს, როგორი სასარგებლო შეიძლება იყოს აქ მყოფი უკრაინელებისა და სახელმწიფო სტრუქტურების თანამშრომლობა.

მარინა: ჩვენ ვგრძნობთ ქართველების მხრიდან დახმარების სურვილს და ამას ძალიან ვაფასებთ. ყველა გვეხმარება ისე, როგორც შეუძლია: ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად. შეიძლება ვინმე არ გვეხმარებოდეს, მაგრამ რა გაეწყობა. ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ ვიღებ როგორც მორალურ, ისე ყველა შესაძლო დახმარებას. ქართველებსა და უკრაინელებს შორის იმდენად მტკიცე მეგობრობაა, ამას ვერაფერი გააფუჭებს. საქართველო არ არის რუსეთი, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს დიქტატორს და ამართლებს ომს უკრაინაში. ქართველები და უკრაინელები ნამდვილად მოძმე ხალხია და ვფიქრობ, ეს ომი კიდევ უფრო დაგვეხმარება დაახლოებაში.

გამოყენებულია ფოტოები:
https://www.facebook.com/misto.profesiy/photos/?ref=page_internal

ავტორიზაციის სტანდარტები და დანერგვის გამოწვევები

ნასტასია ერაბული

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის ავტორიზაციის ახალი სტანდარტი საქართველომ 2020 წელს შემოიღო. ახალი სტანდარტის მიხედვით, ავტორიზაციას წელს 10-ზე მეტი სასწავლებელი გაივლის. რას სიახლეებია გარე შეფასების მექანიზმში, რა სირთულეებსა და გამოწვევებს გულისხმობს მისი დანერგვის პროცესი და როგორ ემზადებოდა სისტემა ახალ ეტაპზე გადასასვლელად – „პროფესიული განათლება" ამ თემებზე განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილეს, კახაბერ ერაძეს და პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს თავმჯდომარეს, ნანა ყუფუნიას ესაუბრა.

ახალი სტანდარტი ორიენტირებულია საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაძლებლობებისა და ავტონომიის გაზრდაზე. აგვიხსენით, როგორ აისახება ეს პროფესიული სასწავლებლების ყოველდღიურობაზე?

კახაბერ ერაძე: ახალი სტანდარტის დამტკიცებას, რაც 2020 წელს შევიდა ძალაში, წინ უძღოდა თითქმის ორწლიანი მოსამზადებელი პერიოდი იმისათვის, რომ მოულოდნელი სიახლე არ ყოფილიყო საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის. მიუხედავად მოსამზადებელი პერიოდისა, ახალი სტანდარტის დანერგვა მაინც გამოწვევაა. ზოგადად, ასეთია ადამიანის ბუნება – თუნდაც უკეთესობისკენ მიმართული სიახლე სიახლეა და ადაპტირებას საჭიროებს. მნიშვნელოვანია იმის ცოდნაც, რომ ავტორიზაცია არ არის ერთჯერადი აქტი, რომლის შემდეგაც 6 წლის განმავლობაში სასწავლო დაწესებულებები თავისუფლდებიან ხარისხის უზრუნველყოფის ვალდებულებისგან, გარე შეფასების მექანიზმისგან. ხარისხის უზრუნველყოფა სწორედ ყოველდღიური ზრუნვის საგანია. ავტორიზაცია არის გარე ხარისხის შეფასების მექანიზმი, რომელსაც ვიყენებთ იმაში დასარწმუნებლად, რომ დაწესებულების მენეჯმენტი სწორად ფუნქციონირებს, აანალიზებს საკუთარ საქმიანობას, გეგმავს ცვლილებებს, სწავლობს შეცდომებზე. ეს უნდა იყოს მუდმივი პროცესი ავტორიზაციის 6 წლის განმავლობაში. აქედან გამომდინარე, თუ დაწესებულებები სწორად გაიგებენ ავტორიზებულ რეჟიმში ყოფნის აზრს, მათ ეცოდინებათ, რომ ავტორიზაციით არაფერი მთავრდება – მხოლოდ იწყება. თუ ამ 6 წელს ხარისხის დახვეწისთვის გამოიყენებენ, მივიღებთ საუკეთესო შედეგს.

ე.წ. დემინგის ციკლი, რაც გულისხმობს მიდგომას: დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე, განავითარე – არ უნდა ხდებოდეს 6 წელიწადში ერთხელ. ეს უნდა იყოს საგანმანათლებლო დაწესებულების ყოველდღიურობის შემადგენელი ნაწილი და ამის საშუალებას ახალი სტანდარტები უკეთ იძლევა.

რის მიხედვით აკეთებენ დასკვნებს პროფესიული სასწავლებლები იმის შესახებ, თუ რა არის მათი ძლიერი და სუსტი მხარეები, რა უნდა გააუმჯობესონ?

კახაბერ ერაძე.
ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

კახაბერ ერაძე: პირველ რიგში, ამაზე მინიშნებას იძლევა ახალი სტანდარტი, რომელიც ძველისგან არსებითად განსხვავებულია. ახალ სტანდარტში ვერ იპოვით ქვესტანდარტს, რომელიც ეხება ხარისხის უზრუნველყოფას. ამას თავისი ახსნა აქვს: ხარისხის უზრუნველყოფა არ არის აბსტრაქტული და ცალკე მდგომი პროცესი, ის არის ყველა პროცესის განხორციელების პრინციპი, ცხოვრების წესი, კულტურა და ჩვენ ყველა სტანდარტთან მიმართებით ვამბობთ, რომ თქვენ უნდა შეესაბამებოდეთ სტანდარტს, აფასებდეთ საკუთარ შესაბამისობას სტანდარტთან სისტემატურად და აქედან გამომდინარე, გეგმავდეთ ღონისძიებებს განვითარებისთვის.

სამწუხაროდ, სასწავლებლებს მწირი რესურსები აქვთ იმისთვის, რომ დამოუკიდებლად ჩაატარონ ისეთი მნიშვნელოვანი კვლევები, როგორიცაა სტუდენტებისა და პარტნიორების კმაყოფილების, შრომის ბაზრის საჭიროებების, პროფესიული მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის კვალიფიციურობის კვლევები. ეს გამოწვევაა. სტანდარტი ამბობს, რომ განვითარების გეგმა უნდა დგებოდეს თვითშეფასების მიხედვით, რაც ჩატარებულ კვლევებს ეფუძნება, თუმცა კვლევითი პოტენციალი დაწესებულებებში არ არის წარმოდგენილი და ეს არის ის, რაც უნდა განვითარდეს. ამის რესურსი არსებობს, ძალიან ბევრი მხარდაჭერის პროგრამა მუშაობს, შეიქმნა პროფესიული უნარების სააგენტო, რომელიც დაეხმარება კოლეჯებს, განავითარონ შიდა პოტენციალი, მათ შორის კვლევების მიმართულებით.

ზოგადად, ხარისხი მომხმარებლების კმაყოფილებას ნიშნავს და პროფესიული სასწავლებლების მომხმარებლები არიან მისი სტუდენტები, სტუდენტების დამსაქმებლები და პროფესიული განათლების საზოგადოება. ისინი მათგან საზოგადო სიკეთეებს მოელიან. ეს ყველამ იცის, იმის მიუხედავად, შეუძლია თუ არა კვლევების წარმოება დღეს.

რა მთავარი წინააღმდეგობა შეიძლება შეხვდეს სასწავლებელს იმისათვის, რომ გაიაროს ავტორიზაციის პროცესი?

ნანა ყუფუნია: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესი დღეს მთლიანად მიმართულია საგანმანათლებლო დაწესებულების მხარდაჭერისკენ, მისი განვითარების ხელშეწყობისკენ. ახალი ავტორიზაციის სტანდარტი და პროცედურა, რომელსაც დაწესებულება გადის

განაცხადის გაკეთებიდან ავტორიზაციის მინიჭების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე, იძლევა იმის საშუალებას, რომ დაწესებულებამ სწორად და დროულად გააანალიზოს, რა არის ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში. შესაბამისად, თუ დაწესებულებას კარგად აქვს შესწავლილი პროგრამის განხორციელების საჭიროება და წინაპირობები და ამ წინაპირობების გათვალისწინებით სწორად აკეთებს თვითშეფასებას, შეიძლება ითქვას, რომ არავითარი დაბრკოლება არ არსებობს პროცესის წარმატებით გავლისთვის.

ავტორიზაციის ახალი სტანდარტი პროფესიული განათლების ხარისხის ამაღლებისთვის მნიშვნელოვან როლს თამაშობს. რა ხელშესახები შედეგები გვაქვს ამ ეტაპზე?

კახაბერ ერაძე: მხოლოდ მეორე წელია, რაც სტანდარტი შეიცვალა – ეს არ არის დიდი დრო. ცვლილებების შემდეგ რეავტორიზაცია ჯერ არც ერთ სასწავლებელს არ გაუვლია. წელს გვექნება 12 დაწესებულებაში რეავტორიზაციის პირველი შემთხვევები და შემდეგ უკვე შეგვეძლება შედეგებზე საუბარი.

ჩვენ, ხარისხის ცენტრმა, ევროპის განათლების ფონდთან ერთად დავიწყეთ საერთო ევროპული ინდიკატორების მიხედვით შეფასების პროცესი. ეს ინდიკატორები ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გამოიყენება, ჩვენთვის სავალდებულო არ იყო, მაგრამ მაინც გაგვიჩნდა მათი დანერგვის სურვილი. სულ 10 ინდიკატორია – მათგან ორი, ყველაზე რთული შევარჩიეთ ევროპის განათლების ფონდთან ერთად დასანერგად. ფონდმა წელს ორი ქვეყანა შეარჩია, რომლებსაც დაეხმარება ამ ინდიკატორების დანერგვაში მათი პროფესიული განათლების სისტემის დინამიკურობის გათვალისწინებით. ერთ-ერთი საქართველოა და ეს ძალიან გვიხარია.

იმის დასანახად, თუ როგორ შეიცვალა პროფესიული სასწავლებლების სტანდარტები და მოთხოვნები მათ მიმართ, საკმარისია, გადავხედოთ, რაზე ვსაუბრობდით წლების წინ და რა ამოცანებს ვისახავთ დღეს. თუკი 4-5 წლის წინ ვსაუბრობდით შენობებზე, მათ მდგრადობაზე, ლაბორატორიების საჭიროებებზე, დღეს ჩვენ ვლაპარაკობთ ვერიფიკაციაზე, ვალიდაციაზე, კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლებაზე, ჰოლისტურ შეფასებაზე, დუალური სწავლების პრინციპებზე. გამოწვევები იცვლება და ძალიან მარტივი, პრიმიტიული საკითხებიდან ამ პროცესმა გადაინაცვლა განათლების საკითხების მაღალ კატეგორიებზე. ეს არის ერთ-ერთი ნიშანი იმისა, რომ დიახ, სისტემა განვითარდა.

იცვლება მასშტაბებიც. მზარდია საზოგადოების დაინტერესება და მოთხოვნა პროფესიული განათლების მიმართ, რაც სისტემისადმი ნდობის ზრდაზე მეტყველებს.

რა გამოცდილებას დაეყრდენით სტანდარტის შემოღებისას? რატომ გახდა ის აუცილებელი?

კახაბერ ერაძე: პროფესიული სასწავლებლების ავტორიზაცია სავალდებულო 12 წლის წინ გახდა. მანამდე იყო ლიცენზირების სისტემა. როცა ავტორიზაცია სავალდებულო გახდა, მაშინ მნიშვნელოვნად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან პროფესიული, უმაღლესი და ზოგადი განათლების სასწავლებლებისთვის დაწესებული სტანდარტები. ეს გასაკვირი არც იყო, ვინაიდან ქვეყანა პირველ ნაბიჯებს დგამდა ამ მიმართულებით.

ამ 12 წელიწადში გამოცდილება დაგროვდა, პროფესიულმა სასწავლებლებმა ავტორიზაციის მინიმუმ ორწლიანი ციკლის გავლა მოასწრეს და სისტემა მომწიფდა განვითარების შემდეგ საფეხურზე გადასასვლელად. სტანდარტი მუდმივად საჭიროებს ცვლას და გაუმჯობესებას იმის მიხედვით, რამდენად სრულდება ის რეალობაში. დღეს უმაღლესის, პროფესიულის და ზოგადი განათლების სტანადარტები მეტად ერგება მათ სპეციფიკას და მნიშვნელოვნად განსხვავდება ამ თვალსაზრისით.

სტანდარტის ცვლილება კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლების შემოტანამაც განაპირობა და კერძო სექტორის ჩართულობის ზრდამაც. შეუძლებელია, მხოლოდ სასწავლო დაწესებულების წიაღში, საგნობრივი სწავლებით მიგვეღო ის შედეგები, რასაც შრომის ბაზარი გვკარნახობს.

როგორი იქნება თქვენი რჩევები პროფესიული სასწავლებლებისა და იმ ორგანიზაციებისათვის, რომელთაც სურთ ავტორიზაციის მიღება?

ნანა ყუფუნია: რეკომენდაციები ამ მიმართულებით საბჭოს მხრიდან ყოველთვის უცვლელია. კარგად გააზრებული პროგრამის საჭიროება და სწორად გაკეთებული თვითშეფასება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ის მყარი საფუძველია, რომელიც შემდგომი

თანმიმდევრული ნაბიჯების შემთხვევაში უზრუნველყოფს წარმატებას როგორც სისტემაში, ისე შრომის ბაზარზე.

კახაბერ ერაძე: ყველამ, ვისაც წინ აქვს ავტორიზაციის პროცესი, უნდა დაუსვას საკუთარ თავს კითხვა: ნამდვილად უნდა თუ არა ავტორიზაციის მიღება და იმ პასუხისმგებლობის აღება, რაც ავტორიზებული კოლეჯის მართვა-განვითარებას ახლავს თან?

ავტორიზაციის მიღება თვითმიზანი არ უნდა იყოს. სისტემამ შექმნა დამატებითი მექანიზმი პროფესიული მომზადება-გადამზადების, რაც საშუალებას იძლევა, იყო ტრენინგცენტრი, სულ სხვა სტანდარტით და პასუხისმგებლობებით. თუკი ტრენინგცენტრმა უნდა გაზარდოს პროფესიონალი, კოლეჯმა უნდა გაზარდოს პროფესიონალი და კარგი მოქალაქე. ეს სხვადასხვა ზომის პასუხისმგებლობაა.

ნანა ყუფუნია. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

ავტორიზაციის სტანდარტი რამდენიმე კომპონენტისგან შედგება: რომელი მიმართულებაა ყველაზე რთულად გასამართი და დასანერგი ქართულ პროფესიულ სასწავლებლებში?

კახაბერ ერაძე: პრობლემად ჯერ კიდევ რჩება მატერიალური რესურსების სიმწირე, გამოწვევაა სტუდენტის შეფასებაც. ჩვენ ძალიან მაღლა ავწიეთ თამასა, როცა გადავედით კომპეტენციებზე დაფუძნებულ სწავლებაზე და ამის დანერგვას, ცხადია, თან ახლავს გარკვეული სირთულეები.

როგორ შეაფასებდით ავტორიზაციის სტანდარტების დანერგვას? საჭიროებს შემდგომ გაუმჯობესებას?

ნანა ყუფუნია: ამ პროცესმა დაწესებულებები განვითარების სრულიად ახალ ეტაპზე გადაიყვანა. შესაბამისად, აუცილებელი იყო სტანდარტების შემოტანა. თუმცა, როგორც ყველა სიახლე, მით უმეტეს ასეთი მნიშვნელოვანი ცვლილება სისტემაში, სტანდარტების დანერგვა ცოცხალი პროცესია და, რა თქმა უნდა, საჭიროებს გაუმჯობესებას, რასაც ვერ ვიტყოდი თვითონ სტანდარტებზე. ის ხუთი სტანდარტი, რომელზეც დაწესებულებები ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში სწორებას აკეთებენ, სრულად პასუხობს იმ გამოწვევებს, რაც დღეს პროფესიული განათლების სისტემაშია.

რამდენად ჩართული იყო კერძო სექტორი სტანდარტის შემუშავების პროცესში? შეიძლება ითქვას, რომ ახალი სტანდარტი ზრდის კონკურენტული კადრების რაოდენობას ბაზარზე?

ნანა ყუფუნია: რამდენადაც ჩვენთვის, საბჭოს წევრებისთვის არის ცნობილი, სტანდარტების შემუშავება დაინტერესებული მხარეების, მათ შორის კერძო სექტორის ფართო ჩართულობით განხორციელდა. მე, როგორც კერძო სექტორისა და საბჭოს წარმომადგენელმა, შემიძლია გითხრათ, რომ სტანდარტები თავისთავად, ცალკე აღებული ვერ გაზრდის კონკურენტული კადრების რაოდენობას. პროცესი რთულია, მაგრამ ეს არის აუცილებელი გზა, რომელიც ყველა დაწესებულებამ თანმიმდევრულად და რაც მთავარია, ინდივიდუალურად, საკუთარი და პარტნიორი ბიზნეს-ორგანიზაციების სპეციფიკასა და საჭიროებაზე დაფუძნებული მიდგომებით უნდა გაიაროს. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი, პროფესიული განათლების პროვაიდერმა ბიზნესს შესთავაზოს კონკურენტული, კვალიფიციური კადრები.

არსებობს თუ არა სასწავლებლებისთვის სხვადასხვა ტიპის დახმარების ინიციატივები, რაც მათ სტანდარტის დანერგვისა და გაუმჯობესების პროცესს გაუმარტივებს?

კახაბერ ერაძე: სტანდარტების დანერგვას მნიშვნელოვანი მხარდამჭერი პროგრამები ახლდა თან და, პირველ რიგში, ჩვენ მადლიერები ვართ გაეროს განვითარების პროგრამის, რომელიც ორი წლის განმავლობაში გვეხმარებოდა ამ პროცესში. დახმარება იყო მრავალმხრივი, დაწყებული გზამკვლევების მომზადებით, დამთავრებული ტრენინგებით. გზამკლევებიც და ტრენინგებიც, რაც ამ პროგრამის ფარგლებში მომზადდა და ჩატარდა, იყო მრავალფეროვანი და ფარავდა სექტორის თითქმის ყველა რგოლს.

სტანდარტის დანერგვისთვის ასევე მნიშვნელოვანი იყო სიმულაციური ავტორიზაციის პროცესებიც, რაც 30-მდე სასწავლებელში ჩავატარეთ – ყველგან, სადაც გამოთქვეს სურვილი, მიეღოთ მონაწილება ამ ექსპერიმენტში და მომზადებული დახვედროდნენ ნამდვილი ავტორიზაციის პროცესს.

გვაქვს ასევე კონსულტირების სისტემა, რომელიც ძალიან ეფექტურად მუშაობს. შემიძლია რჩევაც მივცე თქვენს მკითხველს: ყურადღებით იკითხონ ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნები და საბჭოს სხდომის ოქმები, რომლებიც საჯაროა და ყველა იმ პრობლემაზე გვიქმნის წარმოდგენას, რაც ამ სისტემაში არსებობს.

ნანა ყუფუნია: სტანდარტების დანერგვის პროცესში უზარმაზარი სამუშაო შესრულდა დაწესებულების მხარდასაჭერად. ამ მხრივ განსაკუთრებული როლი აქვს განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის პროფესიული განათლების გუნდს. შეიძლება ითქვას, რომ მუდმივ რეჟიმში ახორციელებს დაწესებულებების გაძლიერებას ტრენინგების, სამუშაო შეხვედრების და რეკომენდაციების გაცემის გზით. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია დონორი ორგანიზაციების მიერ გაწეული უზარმაზარი დახმარება, პროფესიული განათლების პროვაიდერების თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფის და ადამიანური კაპიტალის გაძლიერების მიმართულებით. სტანდარტების დანერგვისა და გაუმჯობესების პროცესში არსებითად მნიშვნელოვანია დაწესებულებების მხარდაჭერა, რომ მათ თავად შეძლონ საკუთარ გამოწვევებთან გამკლავება, გადაწყვეტის ალტერნატიული გზების მოძიება და სწორი შეფასების გაკეთება. დაწესებულებების ავტონომიურობის გაზრდა მხოლოდ ასე შეიძლება და ამ პროცესში ყველა ჩართულ მხარეს, მათ შორის ავტორიზაციის საბჭოს, დიდი პასუხისმგებლობა ეკისრება, რომ ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი დაწესებულებებისთვის არ გახდეს ნაკარნახევ პროცედურებზე, მითითებებსა და შაბლონებზე დამოკიდებული.

საერთაშორისო თანამშრომლობა: გაეროს განვითარების ფონდის მიერ განხორციელებული პროექტები საქართველოს კოლეჯებში

ნასტასია ერაბული

ბოლო წლების განმავლობაში, საქართველოს მთავრობასთან თანამშრომლობით, შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) ფინანსური მხარდაჭერით, ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტი „საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლების სისტემების მოდერნიზება". პროექტის მიზანია საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლების სისტემების განვითარების ხელშეწყობა და საქართველოში პროფესიული განათლების შემდგომი რეფორმირება მოწინავე სისტემების დამკვიდრების ხელშეწყობით. უკვე 10 წელზე მეტია, გაეროს განვითარების ფონდი აქტიურად მონაწილეობს საქართველოში პროფესიული განათლების რეფორმის წარმატებულად განხორციელების საქმეში. ახალი პროფესიული განათლების კანონი, შესაბამისი კანონქვემდებარე აქტები და სტანდარტები, ასევე სხვა დასრულებული და წამოწყებული პროექტები – ესაა გაეროს განვითარების პროგრამის პროექტის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობის არასრული ჩამონათვალი.

„საქართველოს სოფლის მეურნეობაში პროფესიული განათლების სისტემების მოდერნიზების" პროექტის ერთ-ერთი მიმართულება საგრანტო კონკურსებია, რაც წარმატებული და ინოვაციური პროექტების დაფინანსებას ისახავს მიზნად. გაეროს განვითარების ფონდის პროექტსა და მის ფარგლებში გაცემულ გრანტებზე „პროფესიული განათლება" ფონდის წარმომადგენელს, მამუკა მათიაშვილს ესაუბრა.

მცირე გრანტების ფარგლებში რა სახის მხარდაჭერა განხორციელდა პროფესიული სასწავლო დაწესებულებებისათვის?

ჩვენი მიდგომაა სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების სისტემების გაუმჯობესება, თუმცა მოგეხსენებათ, რომ შეუძლებელია ამ სისტემების ცალკე გამოყოფა და ამიტომ ჩვენ პრაქტიკულად მოვიცავთ პროფესიული განათლების მთელ სისტემას. მაგალითად, როდესაც ჩვენი წვლილი შეგვაქვს პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის გაუმჯობესებაში და სტანდარტების შემუშევებაში, როდესაც ვეხმარებით პროფესიულ სასწავლო დაწესებულებებს ინსტიტუციური შესაძლებლობებისა და კვალიფიკაციის ამაღლებაში, ესაა სწორედ ის ინტერვენცია, რომელიც ერთნაირად სასარგებლო შეიძლება იყოს როგორც მაკრო, ისე მიკრო და მეზო დონეებზე.

ჩვენი პროექტი მრავალმხრივი მიმართულებისაა, თუმცა მე გესაუბრებით მცირე საგრანტო კონკურსების საშუალებით პროფესიული სასწავლო დაწესებულებების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების მიმართულებაზე, რომელიც ბოლო სამი წელია ხორციელდება და თავისი წვლილი შეაქვს მთლიანი პროექტის საქმიანობაში. აღსანიშნავია, რომ ამ მიმართულების დამსახურებაცაა ის, რომ წლიდან წლამდე იზრდება იმ კოლეჯების რიცხვი, ვისთანაც ვთანამშრომლობთ და ფართოვდება გეოგრაფიული არეალი, რომელსაც ვფარავთ. თუ პროექტის დასაწყისისთვის უშუალო ინტერვენცია გვქონდა 8 კოლეჯთან, დღეს წარმოდგენილები ვართ ყველა იმ პროფესიულ სასწავლო დაწესებულებაში, სადაც არსებობს სოფლის მეურნეობის მიმართულებით სასწავლო პროგრამები. შესაბამისად, გაორმაგებულია პარტნიორი პრო-

ფესიული სასწავლო დაწესებულებების რიცხვი, უკვე წარმოდგენილები ვართ საქართველოს ყველა რეგიონში. რაც შეეხება უშუალოდ მხარდაჭერის სპეციფიკას, თავდაპირველად, შესაბამისი ტრენინგების საშუალებით, ჩვენ აქტიურად დავეხმარეთ კოლეჯებს საგარანტო განაცხადის მომზადების უნარის გაუმჯობესებაში, შემდგომ კი წინასწარ დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით ვაცხადებდით საგრანტო კონკურსებს, სადაც გამარჯვებულ ორგანიზაციებს ჰქონდათ შესაძლებლობა, რომ განეხორციელებინათ უშუალო ინტერვენცია ისეთ სფეროებში, რომლებიც უშუალოდ წაადგება მათ შემდგომ ინსტიტუციურ გაძლიერებასა და განვითარებას. ამ ეტაპისთვის 30-ზე მეტი მცირე საგრანტო პროექტია დაფინანსებული, მათი დიდი ნაწილი საკმაოდ წარმატებულია.

შეგიძლიათ უფრო კონკრეტულად გვითხრათ, რა მიღწევები გაქვთ ამ სფეროში რამდენიმეწლიანი ჩართულობის შედეგად?

პროფესიული სასწავლო დაწესებულებების მხარდაჭერისა და მათი ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, ბოლო სამი წლის განმავლობაში გამოყოფილია სპეციალური სახსრები, რომლებითაც ხდება მცირე საგრანტო პროექტების დაფინანსება. მცირე გრანტების ზედა ზღვარი თავიდან 40 000 ლარი იყო და ისინი მიმართული იყო კოლეჯების წინაშე არსებული სხვადასხვა პრობლემის გადასაჭრელად. აღსანიშნავია, რომ 7 გამოცხადების შედეგად (OPEN CALL) დაფინანსდა 30-ზე მეტი პროექტი.

კოლეჯების მხარდაჭერის საგრანტო კომპონენტის მიზანი ძირითადად ადმინისტრაციული პერსონალის გაძლიერებაა იმისათვის, რომ მათ შეძლონ ეფექტურად მართონ თავიანთი დაწესებულებები. ხელს ვუწყობთ ასევე სპეციალისტების გადამზადებას და ტექნიკური შესაძლებლობების გაუმჯობესებას. საგრანტო პროექტებმა საშუალება მისცა პროფესიულ სასწავლებლებს, შეემუშავებინათ და დაენერგათ ოფიციალური უფლებამინიჭებული (ე.წ. ავტორიზებული) 16 მოკლევადიანი სასწავლო პროგრამა, რომელიც 500-ზე მეტმა სტუდენტმა გაიარა. მოკლევადიანი სასწავლო პროგრამების შემუშავებისა და დანერგვის შესაძლებლობა, კოლეჯების გარდა, სხვა აქტორებსაც ჰქონდათ და გვაქვს კარგი მაგალითები, როცა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციამ თუ კვლევითმა ცენტრმა ეს შესაძლებლობა გამოიყენა. ამ მოკლე სასწავლო კურსების ნახევარიც რომ აღმოჩნდეს მდგრადი, უკვე მნიშვნელოვანი შედეგია. ეს საშუალებას მოგვცემს, გვყავდეს მეტი ხარისხიანი პროფესიული განათლების მქონე ადამიანი ქვეყანაში.

მცირე გრანტები სასწავლებლებმა გამოიყენეს არა მხოლოდ სტუდენტებისთვის სასწავლო პროგრამების შესაქმნელად, არამედ ადმი-

მამუკა მათიაშვილი. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

ნისტრაციის წარმომადგენლების უნარების გასაუმჯობესებლადაც. დღეს გადამზადებული სპეციალისტები საჭიროების შემთხვევაში მზად არიან, სხვებს გადასცენ მიღებული ცოდნა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამ კომპონენტის საშუალებით, ახალი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის მიზნით, შემუშავდა ოცზე მეტი მარეგულირებელი დოკუმენტი, შესაბამისი ინვენტარის მიწოდების საშუალებით, ხელი შეეწყო 6 პროფესიული სასწავლო დაწესებულების 8 პროფესიული პროგრამის დანერგვას და ამუშავებას. გადამზადდნენ პედაგოგები და რიგ შემთხვევაში გაუმჯობესდა სტუდენტური გარემოც.

რა ტიპის ცოდნა სჭირდება დღეს სოფლის მეურნეობაში დასაქმებულ ადამიანს?

ეს რთული, მაგრამ ძალიან საინტერესო შეკითხვაა. ჩემი პირადი მოსაზრებაა, რომ დღეს განვითარებული სოფლის მეურნეობა უკვე მაქსიმალურად ინდუსტრიალიზებულია და ამიტომ შესაბამისი განათლებისა და ინოვაციური ტექნოლოგიების ცოდნის გარეშე, წარმატების მიღწევა პრაქტიკულად შეუძლებელია, უცოდინრობა ამ სფეროში, ისევე, როგორც ყველგან სხვაგან, პრაქტიკულად არაკონკურენტუნარიანს გხდის. შესაბამისად, ვთვლი, რომ ჩვენი პროფესიული სასწავლებლებიც მაქსიმალურად უნდა ცდილობდნენ, ფეხი აუწყონ ბაზრის მოთხოვნებს და პასუხობდნენ არსებულ სიახლეებს. პროფესიული სასწავლებლები და მათ მიერ შეთავაზებული პროგრამები ზუსტად უნდა პასუხობდნენ პრაქტიკულ საჭიროებებს და ბაზრის კონკრეტულ მოთხოვნებს. სხვა შემთხვევაში ისინი არ იქნება პოპულარული და საინტერესო, და მათ ასევე არ ექნებათ შედეგი. მნიშვნელოვანია პროფესიული სასწავლო დაწესებულების მიერ პროგრამების მიწოდების დროულობაც. ვგულისხმობ იმას, რომ პროგრამა უნდა იქნას შეთავაზებული მაშინვე, როგორც კი გაჩნდება ბაზარზე მოთხოვნა. მნიშვნელოვანია ხარისხიც, რადგან თუ კოლეჯი არ იქნება ავტორიტეტული და ვერ შეძლებს კვალიფიციური პროგრამების მიწოდებას კერძო სექტორისთვის, მაშინ მისი პროგრამები არ იქნება საინტერესო და მათზე არ იქნება მოთხოვნა, კერძო სექტორი კი თავის გზას დამოუკიდებლად იპოვის. ამ მხრივ მნიშვნელოვნად მიმაჩნია კერძო და საჯარო პარტნიორობის განვითარება, სადაც სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს წამყვანი როლი, რადგან მხოლოდ სწორად დაგეგმვითაა შესაძლებელი დროული და ეფექტიანი პროგრამების დანერგვა და ამოქმედება.

გქონდათ შემთხვევები, როცა კოლეჯების განვითარების ფონდმა დააფინანსა ტექნოლოგიური ან დიჯიტალური პროექტები სოფლის მეურნეობაში ამ მიმართულებების განსავითარებლად?

გვქონდა და რაც საინტერესოა, რიგ შემთხვევებში ამგვარი ინიციატივები არასასწავლო პროფილის მქონე ორგანიზაციებისგან მოდიოდა. მაგალითად, შემიძლია გითხრათ ერთი პროექტი, რომლის იდეაც გაუჩნდა საინფორმაციო ტექნოლოგიების პროფესიულ კავშირს და ჩვენ ეს დავაფინანსეთ. მათი პროექტი მიზნად ისახავდა ციფრული გამოწვევების კვლევას პროფესიული განათლების სფეროში, რაც ძალიან აქტუალურია პანდემიის ფონზე და ავტორიზაციის ახალი სტანდარტების დანერგვის პროცესში. თავიდან განსაზღვრული იყო, რომ კვლევა 17 კოლეჯში ჩატარდებოდა, თუმცა პროცესში ეს რიცხვი გაიზარდა და თითქმის ყველა პროფესიული სასწავლებელი მოიცვა. ამ საკმაოდ მოცულობითი სამუშაოს შედეგები ჯერ არ არის გამოქვეყნებული, თუმცა ვფიქრობ, ის საინტერესო იქნება ბევრი მიმართულებით და დიდ სამსახურს გაუწევს ამ სექტორში მომუშავე ადამიანებს. ეს ინფორმაცია გვჭირდება ყველას: განათლების სამინისტროსაც დაეხმარება პოლიტიკის დოკუმენტების შექმნაში, დონორებსაც და თავად სასწავლებლებსაც.

გვქონდა პროექტი, რომელიც კოლეჯში ახალი მოკლევადიანი კურსის დანერგვისთვის ტექნიკური ინვენტარით მის უზრუნველყოფასაც გულისხმობდა. კოლეჯ „იბერიაში“ ინერგება მცენარეთა დაცვის პროგრამა, სასწავლებელი აღიჭურვა ამ პროგრამისთვის საჭირო ივენტარით.

ასევე, ამავე კოლეჯის ბაღდათის ფილიალში დაფინანსდა მეღვინეობის სფეროში მოკლევადიანი პროგრამის შემუშავება და უფლების მინიჭება. შესაბამისად, პროგრამის დანერგვისთვის დაფინანსდა სხვადასხვა სახის ტექნიკური მოწყობილობებისა და ლაბორატორიული ინვენტარის შეძენა. რეგიონში ასეთი პროგრამა არ ფუნქციონირებდა და ვფიქრობთ, ბაღდათისთვის ეს სასარგებლო და წარმატებული იქნება. პროექტში ჩართულია ადგილობრივი მარნები და ადგილობრივი თვითმმართველობაც.

მეწარმეობა, როგორც კომპეტენცია პროფესიულ განათლებაში

შორენა ტყეშელაშვილი

ქალბატონო თეონა, დავიწყოთ განმარტებით – რას ნიშნავს სამეწარმეო კომპეტენცია? რა კომპონენტებისგან შედგება ეს ცნება და რა საერთაშორისო გამოცდილებას ეფუძნება?

ყველაზე მარტივით – ცნებით რომ დავიწყოთ, სამეწარმეო კომპეტენციას კავშირი არ აქვს აუცილებლად წარმოებასთან ან საწარმოსთან. ხანდახან, ზოგადად, ბიზნესთანაც კი არ აქვს კავშირი. დიდ მასშტაბში რომ შევხედოთ, ეს არის არა რაღაც საქმიანობა, პროფესია ან განათლება, არამედ გონების მდგომარეობა, მსოფლმხედველობა, კომპლექსური პაკეტი გარკვეული უნარებისა და ხასიათის შტრიხებისა, რომელიც ქმნის ანტრეპრენერს, და არა მხოლოდ ანტრეპრენერს, არამედ ინტრაპრენერსაც. იმის თქმა მინდა, რომ სამეწარმეო კომპეტენცია არ არის მხოლოდ ბიზნესის წარმოების, მეწარმედ გახდომის ან სტარტაპის დაფუძნებისა და მართვის კომპეტენცია. ის შეიძლება გააჩნდეს ადამიანს, რომელიც კომპანიაში მუშაობს, ან სულაც – არა კომპანიაში, არამედ არაკომერციულ ორგანიზაციაში მუშაობს, თუმცა შეუძლია კრეატიული გააზრება იმ ცოდნის, უნარებისა და მიდგომებისა, რომლებიც განაპირობებს აღმოჩენის პროცესს, **იდეების გენერირება, შესაძლებლობების აღმოჩენა და რესურსების მართვა, შემოქმედებითი, ინოვაციური და კრეატიული ხედვა – ყველა ეს უნარი სამეწარმეო კომპეტენციებს უკავშირდება, რომლებიც თანამედროვე ადამიანისთვის საკვანძო კომპეტენციებია ცვალებად სამყაროში. ამ უნარების ფლობა და განვითარება ადამიანს ეხმარება, წარმატებით დასაქმდეს ან საკუთარი საქმე წამოიწყოს. პროფესიულ განათლებაში სამეწარმეო კომპეტენციების მნიშვნელობაზე ჟურნალთან „პროფესიული განათლება“ საუბრობს პროფესიული უნარების სააგენტოს სამეწარმეო ეკოსისტემის განვითარების კოორდინატორი თეონა გელბახიანი.**

მოქმედების შესაძლებლობებს; შეუძლია იდეების გარდაქმნა სოციალური, კულტურული ან ფინანსური ღირებულების მატარებლად. ეს არის მეწარმეობაც და ანტრეპრენერობაც და მე თუ მკითხავთ – ინტრაპრენერობაც.

აკადემიურად თუ შევხედავთ საკითხს, სამეწარმეო კომპეტენციებში გვაქვს კომპეტენციების სამი არე – იდეები და შესაძლებლობები, რესურსები და მოქმედება. თითოეული ეს არე მოიცავს ხუთ-ხუთ კომპეტენციას და ეს ყველაფერი ჯამში ქმნის თხუთმეტ კომპეტენციას, როგორიცაა, მაგალითად, კრეატიულობა, რესურსების მობილიზება, სხვებთან მუშაობა, ინიციატივის აღება, გამოცდილებით სწავლა და ა.შ.

ეს ყველაფერი, ბუნებრივია, არ დარჩენილა იდეის დონეზე და ოფიციალურად ენტრეკომპის (EntreComp), ანუ სამეწარმეო კომპეტენციების ჩარჩო, 2016 წელს, ევროპის ახალი უნარების დღის წესრიგის ნაწილი გახდა. ეს არის ის საერთაშორისო გამოცდილება, რომელსაც ეფუძნება ქართული ჩარჩო პოლიტიკაც პროფესიული უნარების განვითარების ნაწილში. ამ მხრივ ძალიან აქტიური მუშაობა მიმდინარეობს.

უფრო კონკრეტულად განვიხილოთ სამეწარმეო კომპეტენციის მნიშვნელობა პროფესიული სტუდენტებისათვის. რას ასწავლით სტუდენტებს და რაში დაეხმარება მათ ამ კომპეტენციების ფლობა?

პირველ რიგში, სწორედ პროფესიული სტუდენტებისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი ამ საკვანძო კომპეტენციების ფლობა. პროფესიულ სტუდენტებს ზუსტად

აქვთ გააზრებული, როგორც სურთ თავიანთი ცოდნისა და უნარების გამოყენება და ჩვენთვის მნიშვნელოვანია, მათ მივაწოდოთ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა და უნარების სრულყოფაში დავეხმაროთ. ეს უნარები მათი მომავალი ცხოვრებისთვის იქნება ძალიან მნიშვნელოვანი.

თეონა გელბახიანი. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

რას ნიშნავს სამეწარმეო კომპეტენცია სტუდენტებისთვის? ამ კომპეტენციების არსებობის შემთხვევაში ჩვენ შეიძლება მივიღოთ ძალიან კვალიფიციური დასაქმებული, რომელიც თავის მეწარმეობრივ სულს და მიდგომებს ამჟღავნებს სამუშაო ადგილზე და არის ინტრაპრენერი, რაც გულისხმობს იმას, რომ ის მაქსიმალურად ინოვაციურად, კრეატიულად უდგება სამუშაო პროცესს. ასეთ შემთხვევაში, სტუდენტი შეიძლება იყოს ღირებული კადრი ორგანიზაციისთვის და მეორე მხრივ, შესაძლებელია, სტუდენტი თავად იყოს ამ კომპეტენციებზე დაყრდნობით ახლის შემქმნელი. ახალი არ გულისხმობს მაინცდამაინც ახალ პროდუქტს, ახალ მომსახურებას. ეს შეიძლება იყოს ახალი მიდგომა – ისეთი იდეის ავტორი შეიძლება გახდეს, რომელიც საზოგადოებრივ სიკეთეს მოიტანს სოციალური და კულტურული თვალსაზრისით. ამიტომ სტუდენტებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ამ კომპეტენციის ფლობა. ჩვენ სამეწარმეო კომპეტენციების გაძლიერება გვაძლევს შესაძლებლობას, რომ სტუდენტი სამუშაოს მაძიებლიდან გადავაქციოთ სამუშაოს შემქმნელად.

უშუალოდ მეწარმეობის მოდულის ფარგლებში, სტუდენტი გაივლის პროცესს იდეის გენერირებიდან ბიზნესგეგმის შედგენამდე. ერთი მხრივ, სასწავლო პროცესში განიხილება კონკრეტული ქეისები, ინოვაციური ბიზნესმოდელები, მეორე მხრივ კი, სტუდენტები თავად მუშაობენ ბიზნესმოდელების შექმნაზე, სტრუქტურიზებულად ამუშავებენ საკუთარ იდეებს, ხდება თეორიული და პრაქტიკული ცოდნის კომბინირებული მიწოდება სტუდენტისთვის. შესაბამისად, ის სწავლობს არა, მაგალითად, ბუღალტერიას ან თუნდაც მარკეტინგს, არამედ ქმნის მოქმედების რუკას, ახდენს კომპონენტების სტრუქტურიზებას და მთლიანად გაიაზრებს საკუთარ იდეას, როგორც ერთიან სისტემას, რომელსაც აქვს კომერციალიზაციის პოტენციალიც.

თუ სტუდენტს აქვს რაიმე იდეა, უნდა შეფასდეს, ეს იდეა რამდენად ღირებული შეიძლება იყოს? რა არის ამ იდეის ფასეული შეთავაზება? რა არის საჭირო ამ იდეის განსახორციელებლად? რა რესურსი სჭირდება? როგორია პროცესი? სტუდენტმა პროცესი ვიზუალურად უნდა წარმოიდგინოს, დაინახოს, როგორ შეიძლება ამ იდეის განხორციელება. სწავლების დროს მიმდინარეობს მუშაობა სტუდენტის ან სტუდენტთა ჯგუფის მიერ უშუალოდ ამ იდეებზე და საბოლოო ჯამში, იდეა იღებს პროექტებისა და ბიზნესგეგმების სახეს.

რა შედეგები მიიღეთ სამეწარმეო კომპეტენციების სწავლების კუთხით?

დევიზი არ არის მხოლოდ „ისწავლე და დასაქმდი“. სამეწარმეო უნარებისა და კომპეტენციების განვითარება სტუდენტისთვის გულისხმობს იმას, რომ მას მხოლოდ დასაქმება კი არ გავუადვილოთ, არამედ გადავაქციოთ სამუშაოს მაძიებლიდან სამუშაო ადგილის შემქმნელად – ეს შეიძლება იყოს როგორც ერთი სამუშაო ადგილი თვითონ ამ სტუდენტისთვის, თვითდასაქმების შემთხვევაში, ასევე სხვებისთვისაც, მაშინ როცა იქმნება შედარებით დიდი საწარმო, სადაც უკვე სხვა ადამიანებიც დასაქმდებიან. ჩვენ გვაქვს ასეთი წარმატების ისტორიები. გვაქვს შემთხვევები, როცა კურსდამთავრებულები აფუძნებენ საწარმოს, აფართოებენ და სხვებსაც ასაქმებენ. ამ მხრივ ძალიან საინტერესო გამოცდილებები არსებობს და როდესაც აღვნიშნეთ, რომ სტუდენტი სამუშაოს მაძიებლიდან გვევლინება სამუშაოს შემქმნელად – პრაქტიკულადაც არსებობს ამის გამოვლინებები. ჩვენი მიზანია, რომ სამომავლოდ ეს შესაძლებლობები კიდევ

უფრო გავაფართოვოთ და კიდევ უფრო მასშტაბური გავხადოთ.

რამდენმა სტუდენტმა მოახერხა საკუთარი ბიზნესის წამოწყება და ჰქონდა თუ არა ამას კავშირი მეწარმეობის სწავლასთან პროფესიულ განათლებაში?

ცოტა რთულია კონკრეტულ ციფრებზე საუბარი და გეტყვით, რატომ. შესაძლებელია, სტუდენტმა დაასრულოს პროგრამა, შემდეგ წავიდეს და პრაქტიკული გამოცდილება მიიღოს სხვა საწარმოში და ამის მერე დაიწყოს დამოუკიდებელი ბიზნესსაქმიანობა. ასეთი შემთხვევებიც არსებობს. ამ მიმართულებით კომპლექსური კვლევაც არ გვაქვს ჯერჯერობით, რომ მას დავეყრდნოთ და მასშტაბები განვსაზღვროთ. ძალიან ფართო მასშტაბებზე, ალბათ, ამას ვერ გავავრცელებთ. უფრო კონკრეტული რაოდენობებია, კონკრეტული შემთხვევები და იმედი მაქვს, მალე გვექნება ზუსტი ციფრები.

იმისათვის, რომ სტუდენტს ასწავლოს, თავად მასწავლებელს უნდა ჰქონდეს შესაბამისი კომპეტენციები. ვინ არიან მეწარმეობის მასწავლებლები და რა კომპეტენციებს ფლობენ?

სამეწარმეო განათლების მიწოდება ძალიან საინტერესო და საპასუხისმგებლო პროცესია. პირველ რიგში, ეს გულისხმობს სწავლების აქტიური მეთოდების გამოყენებას. იდეალურ შემთხვევაში, მეწარმეობის მასწავლებლებს უნდა ჰქონდეთ სწავლების პროცესში მეგზურის უნარები და ამ მიმართულებით განვითარებული პროფესიული კომპეტენციები, ვიდრე, ვთქვათ, ტრადიციული ცოდნის გადაცემის, ტრანსლირების ან გაზიარების ფუნქცია. ეს განპირობებულია იმით, რომ სამეწარმეო უნარი კი არ მიეცემა ადამიანს, კი არ ესწავლება მას, არამედ იგი უნდა განვითარდეს ადამიანში, ხოლო მონაცემი, საფუძველი ამისათვის ყველა ჩვენგანშია. შესაბამისად, მასწავლებლის მიზანია, განავითაროს ეს უნარი სტუდენტში. აქედან გამომდინარე, მასწავლებელს აქვს ერთგვარი კატალიზატორის, ფასილიტატორის როლი სტუდენტის სამეწარმეო უნარის აღმოჩენის, განვითარებისა და რეალიზების პროცესში. სხვათა შორის, საინტერესოა, რომ ერთ-ერთი პირველი, რაც ხდება სამეწარმეო განათლების მოდულის სწავლებისას, არის სტუდენტის მიერ საორიენტაციო კითხვარის შევსება იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად აქვს სამეწარმეო უნარი და რა ტიპისაა ის.

საბოლოოდ, მნიშვნელოვანია, რომ მეწარმეობის მასწავლებელს ჰქონდეს როგორც თეორიული ცოდნა, ასევე პრაქტიკული გამოცდილება სამეწარმეო საქმიანობის მიმართულებით, რათა შეძლოს შედეგიანი რეფლექსიის ორგანიზება სტუდენტებში.

დღესდღეობით სისტემაში გვყავს ამ მხრივ გამორჩეული და წარმატებული არაერთი მასწავლებელი, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ადამიანური რესურსების უწყვეტი პროფესიული განვითარება იყოს სისტემური ხასიათის. ამ მიმართულებით ჯერ კიდევ არის განვითარების ფართო არეალი, რაზეც აქტიურად ვმუშაობთ.

განვითარების და სამომავლო გეგმები როგორ გამოიყურება, შესაძლებელია თუ არა, რომ პროფესიული განათლება იქცეს ერთგვარ ჰაბად, სადაც მსურველები მიიღებენ მეწარმეობისთვის აუცილებელ ცოდნას და უნარებს განივითარებენ?

ძალიან საინტერესო კითხვაა. ერთი შეხედვით, თითქოს რთული წარმოსადგენია, განათლების კონკრეტული სფერო ჰაბად როგორ უნდა იქცეს, მაგრამ პროფესიული განათლების შემთხვევაში ამ სიტყვის გამოყენება ნამდვილად გამართლებულია. საქმე ისაა, რომ პროფესიული განათლება უნდა იყოს არა უბრალოდ საბაზო ან საშუალო განათლების მიღების შემდეგ გარკვეული საფეხური, რომელსაც კონკრეტული ადამიანები გადიან, არამედ ეს უნდა იყოს სფერო, სადაც ნებისმიერი ასაკის, პროფესიის, გამოცდილებისა და ისტორიის მქონე ადამიანი მოვა და მოახერხებს საკუთარი უნარების, ცოდნის, მიდგომების გადალაგებას ან ახლის შეძენას. ის დაბრუნდება შრომის ბაზარზე საკუთარ თუ ახალ სფეროში ერთგვარი „სუპერძალებით“ აღჭურვილი და ამ „სუპერძალებს“ შორის ერთ-ერთი უმთავრესი იქნება სწორედ მეწარმეობისთვის აუცილებელი და საჭირო ცოდნა და უნარები, ცოდნის კომერციალიზაციის შესაძლებლობა. თუმცა ეს ყველაფერი წარმოუდგენელია რაიმე მოდულის, კურსის მეშვეობით, თუნდაც ეს იყოს მეწარმეობის მოდული. აქ საჭიროა ბევრად კომპლექსური მიდგომა და ამ მხრივ ძალიან ამბიციური გეგმები აქვს პროფესიული უნარების სააგენტოსაც, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს სწორედ სამეწარმეო ეკოსისტემის განვითარებას, რაც გულისხმობს პროცესში ყველა მნიშვნელოვანი აქტორის ჩართვას, მათ შორის საჯარო და კერძო სექტორის, ექსპერტების, სასწავლებლების, სტუდენტების, მასწავლებლების, კურსდამთავრებულებისა და ა.შ. ძალიან დიდი იმედი მაქვს და მჯერა, რომ ეს ყველაფერი გამოვა და ამ პროცესის პოზიტიურ შედეგებზე მალე მოგვიწევს საუბარი.

კოლეჯი „ფაზისი“ ფოთში – პროფესიული კადრების სამჭედლო რეგიონისთვის

მორენა ტყემელუმვილი

კოლეჯი „ფაზისი“ ფოთში მდებარეობს და მისი, როგორც სახელობო, პროფესიული სასწავლებლის ისტორია 1957 წლიდან იწყება. კოლეჯი მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქვეყნისა და რეგიონის ეკონომიკაში და მაღალკვალიფიციური კადრების ერთ-ერთ მთავარ მიმწოდებლად ითვლება. პროფესიული სასწავლებელი გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ფოთის პორტს და გემთმშენებელ ქარხანას პროფესიონალებით ამარაგებდა. დღეს „ფაზისში“ 500-მდე სტუდენტი სწავლობს და 25 სასწავლო პროგრამა ხორციელდება სხვადასხვა მიმართულებით. სასწავლებლის პროგრამები სრულად არის მორგებული რეგიონის შრომითი ბაზრის მოთხოვნებსა და გამოწვევებს. კოლეჯი აქტიურად თანამშრომლობს უცხოურ და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, საჯარო და კერძო სექტორთან და მათთან აქტიური მუშაობით და თანამშრომლობით იკვლევს შრომის ბაზრის საჭიროებებს და შესაბამის სასწავლო პროგრამებს ნერგავს. კოლეჯ „ფაზისის“ დირექტორი ნინო ბაკურაძე ჟურნალთან „პროფესიული განათლება“ საუბრობს სასწავლებლის მისიაზე, მის განსაკუთრებულ როლზე რეგიონის ეკონომიკაში და სამომავლო გეგმებზე.

გვესაუბრეთ კოლეჯ „ფაზისზე“, მის ისტორიასა და მისიაზე. ფოთისთვის, როგორც საპორტო ქალაქისა და ინდუსტრიული ზონისთვის რა როლი აკისრია კოლეჯს?

კოლეჯი „ფაზისი“ არის სამართალმემკვიდრე პროფესიული სასწავლებლის, რომელიც იყო ერთ-ერთი პირველი პროფესიული სასწავლებელი ფოთში. თავდაპირველად ეს იყო სახელობო სკოლა, რომელიც 1957 წელს დაარსდა. მას შემდეგ პროფილი არ შეუცვლია და ახორციელებს პროფესიულ საგანამანათლებლო პროგრამებს, როგორც სამშენებლო, ასევე მომსახურების, ინჟინერიის და სხვა მიმართულებით. კოლეჯი ადრეულ პერიოდშიც წარმოადგენდა ბაზას ფოთის პორტისთვის, რადგან სასწავლებელი ამზადებდა კადრებს და მუშა პერსონალს არა მარტო ფოთის პორტისთვის, ასევე გემთმშენებელი-გემთშემკეთებელი ქარხნისთვისაც, რომელიც ასევე ფუნქციონირებდა ფოთში. სასწავლებელი თავიდანვე მორგებული იყო ადგილობრივ ბაზარს.

90-იან წლებში „უძრაობის პერიოდმა“ ჩვენს სასწავლებელზეც მოახდინა გავლენა და ის განადგურების პირას მივიდა. 2011 წელს კი განხორციელდა შენობის სრული რეაბილიტაცია, აღიჭურვა მატერიალურ-ტექნიკური ბაზით და პროფესიების შესაბამისი დაზგა-დანადგარებით. 2011 წლიდან დღემდე კოლეჯი თანამშრომლობს უცხოურ დონორ ორგანიზაციებთან და პარტნიორებთან. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, კოლეჯი მძლავრ კერას წარმოადგენს რეგიონში და ოპერირებს ორ ლოკაციაზე: ფოთში და ხობის მუნიციპალიტეტში, სოფელ ნოჯიხევში. კოლეჯში 500-მდე სტუდენტი სწავლობს. 2015 წელს გაიარა სერტიფიცირება და მოიპოვა ხარისხის მენეჯმენტის სისტემის სერტიფიკატი, შემდეგ რესერტიფიცირებაც გავიარეთ. კოლეჯი აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სრულყოფილად განხორციელებისთვის საჭირო უახლესი ტექნიკით, ტერიტორიაზე მოწყობილია სასწავლო სახელოსნოები სხვადასხვა პროფესიებისთვის.

რა პროგრამები ხორციელდება ხობის კოლეჯში და რამდენად არის დაფუძნებული სასწავლო პროგრამები ადგილობრივი დამსაქმებლის მოთხოვნაზე?

ხობის მუნიციპალიტეტში კოლეჯი ფლობს ორ სასწავლო კორპუსს, მიწის ნაკვეთით. აქ, ძირითადად, სოფლის მეურნეობის პროგრამები ხორციელდება. ახლა მიმდინარეობს ფილიალის ეზოს კეთილმოწყობა, იგეგმება ინფრასტრუქტურული სამუშაოები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით უზრუნველყოფა. კოლეჯის მთავარი მიზანია შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროგრამებისა და პროფესიული სტუდენტების საჭიროებებზე მორგებული, მათი ინტერესების გათვალისწინებით შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვა, განხორციელება, პროფესიული განათლების მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება შრომითი ბაზრისთვის.

პროგრამები, რომლებიც ხორციელდება ფოთშიც და ხობშიც, სრულად არის მორგებული ჩვენი რეგიონის შრომის ბაზარზე და დაფუძნებულია ადგილობრივი დამსაქმებლების მოთხოვნაზე. კოლეჯი სამომავლოდ გეგმავს ეზოს განაშენიანებას და სადემონსტრაციო ნაკვეთების მოწყობას. უკვე გვაქვს თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმებული „საქართველოს თესვის მწარმოებლების და სანერგე მეურნეობების ასოციაციასთან“. მათმა წარმომადგენლებმა – ასოციაციის გენერალურმა მდივანმა, ალექსანდრე საკანდელიძემ და

ნინო ბაკურაძე.
ფოტო ირმა გარეჩილაძე

პროფესიული კოლეჯი „ფაზისი“.
ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარემ, ბერდია სილაგავამ გადმოგვცეს გარკვეული რაოდენობის ნერგები სოფელ ნოჯიხევის განყოფილებაში, კოლეჯის ტერიტორიაზე სადემონსტრაციო ნაკვეთის მოსაწყობად. ნოჯიხევის ლოკაციაზე 120-მდე სტუდენტი სწავლობს და ამ ეტაპზე ერთი სასწავლო შენობა სრულად არის ათვისებული და დატვირთული. გვაქვს მეორე შენობაც, რომელიც საჭიროებს რეაბილიტაციას, რის შემდეგაც კიდევ უფრო გაიზრდება პროფესიათა რაოდენობა და დაინერგება ახალი, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებული პროგრამები.

სასწავლო პროგრამების შესახებაც მოგვიყევით. როგორ ხორციელდება პროგრამების პრაქტიკული და თეორიული კომპონენტები სასწავლებელში?

ჩვენს კოლეჯში 25 პროგრამაა სხვადასხვა მიმართულებით – ბიზნესი, ადმინისტრირება და სამართლის მიმართულება, ინფორმაციისა და ტექნოლოგიის მიმართულებები, მომსახურების მიმართულება, ხელოვნება და ჰუმანიტარული მეცნიერებები, სკოლამდელი აღზრდის განათლება, სოფლის მეურნეობის მიმართულებები – მეთევზეობა, მებაღეობა, ლაბორატორიული საქმე და ა.შ. ყველა პროგრამა ხორციელდება პარტნიორების მხარდაჭერით და მოიცავს როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ კომპონენტს. თეორიული კომპონენტი ხორციელდება ძირითადად კოლეჯში, მის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზაზე, ხოლო შემდეგ რეალურ გარემოში ამ უნარების ადაპტირება და გამოცდა ხდება უკვე პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე. კოლეჯს ყველა პარტნიორ ორგანიზაციასთან აქვს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმები და ხელშეკრულებები, რის საფუძველზეც ჩვენი პროფესიული სტუდენტები პრაქტიკულ კომპონენტს, საწარმოო პრაქტიკას გადიან პარტნიორი ორგანიზაციების ბაზაზე.

კოლეჯი სრულად ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის. გვყავს სპეციალისტები – როგორც ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, ჟესტური ენის თარჯიმანი, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ასისტენტი. ამ ეტაპზე კოლეჯში რვა შშ სტუდენტი სწავლობს. ერთი საჭიროებს ჟესტური ენის თარჯიმნის დახმარებას, ორი – ასისტენტის დახმარებას. იმ სტუდენტებს, რომლებიც საჭიროებენ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, ჩვენი კოლეჯი სთავაზობს მოქნილ მექანიზმს. ვამაყობ, რომ გვყავს კვალიფიციურ მასწავლებელთა არმია. უნდა აღვნიშნო, რომ კოლეჯი ახორციელებს როგორც მოდულურ, ასევე დუალურ და ინტეგრირებულ პროგრამებს. შვიდი მიმართულებით გვაქვს ინტეგრირებული პროგრამები, რომლებიც აძლევს პირს იმის საშუალებას, რომ კოლეჯში სწავლისას მიიღოს პროფესია და აიღოს დიპლომი, რომელიც გათანაბრებული იქნება საჯარო სკოლის ატესტატთან. ამ შემთხვევაში მას შეუძლია განაგრძოს სწავლა ნებისმიერ უმაღლეს

სასწავლებელში ან დაუფლებული პროფესიის შესაბამისად დასაქმდეს სხვადასხვა სფეროში.

დავნერგეთ ახალი პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“, რომელიც ახალი სტანდარტებით შექმნილი პროგრამაა. აქტიურად ვთანამშრომლობთ ადგილობრივ თვითმმართველობასთან და გვაქვს დადებული თანამშრომლობის მემორანდუმი, რაც სტუდენტებს აძლევს იმის საშუალებას, რომ პრაქტიკა გაიარონ ქალაქის საჯარო თუ კერძო სააღმზრდელო დაწესებულებებში. მინდა, გამოვყო ასევე პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოჯისტიკის“ მიმართულებით. გადაზიდვები ძალიან მნიშვნელოვანია ფოთის, როგორც საპორტო ქალაქისთვის, აქ ფუნქციონირებს ძალიან ბევრი გადამზიდი კომპანია. პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმებულები არიან ამ კომპანიებში. GIZ-ის მხარდაჭერით დაინერგა „სატვირთო გადაზიდვების ლოჯისტიკის“ დუალური პროგრამა ჩვენს კოლეჯში, შემდეგ უკვე პარტნიორების მიერ განხორციელდა კონტინგენტის შერჩევა. სტუდენტები სწავლების პრაქტიკულ ნაწილს გადიან პარტნიორ კომპანიებში და ხშირ შემთხვევებში სწავლის დასრულების შემდეგ იქვე საქმდებიან. ასევე ვახორციელებთ საფინანსო და საბანკო მიმართულებით პროგრამებს და ჩვენი პარტნიორები გახლავთ ჩვენი ქალაქის ბანკები – VTB, LIBERTY, სადაც სტუდენტები გადიან პრაქტიკულ ნაწილს და შემდეგ საქმდებიან.

რომელია ყველაზე მოთხოვნადი პროფესიები კოლეჯში?

ყველაზე მოთხოვნადი პროფესიებია: ინჟინერია/სამშენებლო მიმართულების პროგრამები – ელექტრიკოსი, ამწის მემანქანე, შემდუღებელი ა.შ. ძალიან მოთხოვნადია ტურიზმის სფერო, სარესტორნო და სასტუმროს საქმის მიმართულებით. ასევე მზარდია მოთხოვნა სატვირთო გადაზიდვების მიმართულების პროგრამაზე, თმის მომსახურების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. ადგილობრივი ბაზრის კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ასევე მაღალია მოთხოვნა კულინარიის მიმართულებით და ჩვენც ვგეგმავთ შესაბამისი პროგრამების დანერგვას.

ახსენეთ, რომ კოლეჯი თანამშრომლობს სხვადასხვა უცხოურ ორგანიზაციასთან. რა ტიპის თანამშრომლობაა და ხდება თუ არა გამოცდილების გაზიარება?

„ათასწლეულის გამოწვევის ფონდი საქართველოს“ ფარგლებში ჩვენმა კოლეჯმა მოიპოვა გრანტი მეთევზეობის მიმართულებით პროგრამების დანერგვისათვის. პარტნიორი გახლდათ ფინური მხარე და ფინელი და ქართველი ექსპერტების, პრაქტიკოსი სპეციალისტების დახმარებით შემუშავდა და დაინერგა მეთევზეობის სფეროს სამი პროგრამა, რომლებიც ფოთისთვის და სრულიად საქართველოსთვის, როგორც ზღვისპირა ქვეყნისთვის, არის უმნიშვნელოვანესი. შეიძლება ითქვას, რომ ნოვატორები ვართ ამ მხრივ. პროექტის ფარგლებში, ფინეთში გადამზადდნენ ჩვენი მასწავლებლები.

ფოთში არის თევზის გადამამუშავებელი ხუთი საწარმო, რომლებიც კოლეჯის პარტნიორები არიან და ერთად ვამზადებთ კვალიფიციურ კადრებს. გვაქვს პროგრამები: „ფერმერობა-მეთევზეობა“, „თევ-

პროფესიული კოლეჯი „ფაზისი“.
ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

ზის გადამუშავება“ და „ლაბორატორიული საქმე მეთევზეობაში“. სასწავლო პროგრამა მოიცავს სრულ ჯაჭვს – თევზის მოშენებიდან რეალიზაციამდე. ერთ-ერთი პროგრამა, რომელიც თევზის მოშენებას მოიაზრებს, ხობი-ნოჯიხევის განყოფილებაშიც დავნერგეთ. ხობში არის ძალიან ბევრი სატბორე მეურნეობა და ბაზრის კვლევის შედეგად გამოიკვეთა საჭიროება ამ მიმართულებით სპეციალობების დანერგვისა. კოლეჯში გვაქვს თანამედროვედ აღჭურვილი ლაბორატორია, სადაც არა მხოლოდ თევზის პროდუქტების ანალიზი და სინჯების აღება არის შესაძლებელი, ასევე შესაძლებელია წყლის, ჰაერის და ა.შ. ანალიზიც.

„ფაზისი“ 2011 წლიდან აქტიურად თანამშრომლობს გაეროს განვითარების პროგრამასთან მოკლევადიანი ტრენინგ-კურსების, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების მიმართულებით. ჩვენი კიდევ ერთი უცხოელი პარტნიორი, რომელთანაც მიმდინარე ეტაპზე ვთანამშრომლობთ, გახლავთ გერმანული „ებერჰარტ შიოკის“ საქველმოქმედო ფონდი. თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, 2021 წლის ბოლოს ჩვენს ტერიტორიაზე მათი დაფინანსებით აშენდა სადურგლო სახელოსნო. გერმანელი ექსპერტების ჩართულობით იგეგმება სახელონოს აღჭურვა შესაბამისი დაზგა-დანადგარებით. ეს მემორანდუმი ითვალისწინებს ასევე უცხოელი ექსპერტების ჩართულობას სასწავლო პროცესში. ამ ეტაპზე ვახორციელებთ ხის მხატვრული დამუშავების პროგრამას, სამომავლოდ კი ვგეგმავთ აღნიშნული მიმართულებით ახალი პროგრამების დანერგვას.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხარდაჭერით, ჩვენს კოლეჯში შეიქმნა ფაბლაბი, ანუ სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია თანამედროვე ინოვაციური დანადგარებით.

როგორ გაუმკლავდით პანდემიის გამოწვევებს და სწავლების დისტანციურ რეჟიმზე გადაწყობას, მით უფრო, რომ პროფესიული განათლების ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი საწარმოო პრაქტიკაა?

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დროული დახმარებით,

პროფესიული
კოლეჯი „ფაზისი“.
ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

გამოვიკვლიეთ ყველა სტუდენტისა და მასწავლებლის საჭიროებები – ფლობდნენ თუ არა ციფრულ საშუალებებსა და ტექნიკას, როგორი იყო ინტერნეტის ხელმისაწვდომობა, შევიმუშავეთ მოქნილი მექანიზმი და მოვერგეთ ამ პროცესს. მიმდინარე ეტაპზე სწავლება ხორციელდება როგორც შერეული, დისტანციური, ასევე პირდაპირი მეთოდით. პირდაპირი წესით ხორციელდება პრაქტიკული კომპონენტის სწავლება, დისტანციურად – თეორიული კომპონენტი. ძალიან მადლიერი ვართ პარტნიორი ორგანიზაციების, რომლებსაც არ შეუქმნიათ ბარიერები პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის მათ ბაზაზე. რა თქმა უნდა, დაცული იყო ყველა რეკომენდაცია და რეგულაცია. პანდემიის დაწყების დღიდან დღემდე თუ პროფესიულ სტუდენტს ან მასწავლებელს, სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზის გამო, არ აქვს სახლიდან ჩართვის საშუალება, გაკვეთილის სრულფასოვნად ჩატარებისა და მოსმენის შესაძლებლობა, ჩვენ ვთავაზობთ კოლეჯის სივრცეს.

სად საქმდებიან კოლეჯის კურსდამთავრებულები?

გრძელვადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პარალელურად, კოლეჯი ახორციელებს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამებს და ასევე პერიოდულად ატარებს ტრენინგ-კურსებს. მოთხოვნა ადგილობრივი ბიზნესის მხრიდან მოდის. ჩვენი კურსდამთავრებულების ძალიან დიდი ნაწილი სწორედ ჩვენი ქალაქისთვის მზადდება და უმეტესობა აქვე საქმდება კიდეც. მოგეხსენებათ, პროფესიული განათლება – ეს არის ქვეყნის ეკონომიკის წინსვლის ქვაკუთხედი, ჩვენი კურსდამთავრებულები საქმდებიან როგორც ჩვენს პარტნიორ კომპანიებში, ასევე ქალაქის მასშტაბით კერძო თუ საჯარო ორგანიზაციებში.

კოლეჯი თანამშრომლობს ფოთის საზღვაო ნავსადგურთან, როგორც მოკლევადიანი ტრენინგ-კურსების, ასევე პროფესიული მომზადება-გადამზადების მიმართულებით – მათივე თანამშრომლებისათვის. პერიოდულად, ვაკანსიების არსებობის შემთხვევაში, ქალაქის სხვადასხვა კომპანიები, საწარმოები გვიკავშირდებიან და კოლეჯი მათ წარუდგენს თავის წარმატებული კურსდამთავრებულებს.

ფოთი საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცენტრია, ფოთის ნავსადგური კი კავკასიის სატრანსპორტო, სატრანზიტო ქსელის უდიდეს სეგმენტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, ქალაქის ტერიტორიაზე ბევრი გადამზიდი კომპანიაა, რომელთა დიდი ნაწილი დაკომპლექტებულია ჩვენი ინჟინერია-მშენებლობა-წარმოების მიმართულების კურსდამთავრებულებით. ჩვენი კურსდამთავრებულები ასევე დასაქმებულნი არიან პორტის ტერიტორიაზე განთავსებულ ნავმისადგომებზე, ტერმინალებზე და ა.შ.

რეგიონის მასშტაბით, ასევე ფართოდ ვართ წარმოდგენილი თითქმის ყველა სფეროში, მომხმარებელთა მომსახურების სფერო გნებავთ თუ ტურიზმის მიმართულება – სასტუმროები, რესტორნები თითქმის ჩვენი კურსდამთავრებულებით არის დაკომპლექტებული. ფოთის შემოგარენში, გრიგოლეთში სასტუმროში „ვილარეტა“, რომელიც ჩვენი მრავალწლიანი საიმედო პარტნიორია, კოლეჯის 11 კურსდამთავრებული მუშაობს. ასევე ვთანამშრომლობთ სასტუმრო „პარაგრაფთან“, რომელთანაც მემორანდუმი გვაქვს დადებული. საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯი სთავაზობს სასტუმროს შესაბამის კადრებს.

ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები კოლეჯის პარტნიორები არიან როგორც გრძელვადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების განხორციელების პროცესში. მიმდინარე ეტაპზე მათთან პარტნიორობით ხორციელდება მომსახურებისა და სამშენებლო სფეროს სამი პროგრამა – თმის ვარცხნილობის, ელექტრიკოსისა და შემდუღებლის. მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს კოლეჯში წარმატებით ხორციელდება პროგრამები სამკერვალო საქმის მიმართულებითაც. გვაქვს შესაბამისი თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობა, მატერიალური ბაზა. კოლეჯი თანამშრომლობს ტექსტილის ფაბრიკებთან. 2017-18 წლებში „აჭარა ტექსტილისთვის“ გადავამზადეთ 500-მდე ადამიანი, რომლებიც შემდეგ ფაბრიკაში დასაქმდნენ. ასევე უნდა გამოვყო თმის მომსახურების მიმართულების კურსდამთავრებულები, რომელთა უმრავლესობა დასაქმებულია. ზოგიერთმა საკუთარი სალონი გახსნა და თავისი ბიზნესი შექმნა, თან ორი-სამი თანაკურსელიც დაასაქმა. ასე რომ, კოლეჯი აქტიურ როლს თამაშობს ადგილობრივ შრომის ბაზარზე – ქალაქისა და რეგიონისთვის კვალიფიციური კადრების მიწოდებისა და დასაქმების კუთხით.

გასული წლის მონაცემებით, დასაქმების მაჩვენებელი კოლეჯში თითქმის 70%-ია.

მაინცდამაინც პროფესია: მეხილეობა – პროფესია დიდი პერსპექტივებით

შორენა ტყეშელაშვილი

პროფესიით აგრონომს, მეხილეობის მაგისტრს, ფერმერს და მეხილეს, ირაკლი მერკვილიშვილს გორის რაიონის სოფელ მეჯვრისხევში, საოკუპაციო საზღვართან ახლოს ხეხილის ბაღები აქვს გაშენებული. ფერმერი სხვადასხვა სახეობის ხილს აწარმოებს და ყოველწლიურად მეურნეობას კიდევ უფრო აფართოებს. 13-წლიანი პროფესიული გამოცდილებით, ირაკლი მერკვილიშვილი ცდილობს, დარგის და ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში თავისი წვლილი შეიტანოს და საკუთარ მეურნეობაში წარმატებული, ახალგაზრდა სპეციალისტები დაასაქმოს. ჟურნალთან „პროფესიული განათლება“ ის საუბრობს მეხილეობის სექტორში მიმდინარე დადებით ტენდენციებზე, პროფესიული კადრების დეფიციტზე და სამომავლო გეგმებზე, რომლებიც მეურნეობის გაფართოებასა და გაძლიერებას უკავშირდება.

ბატონო ირაკლი, გვესაუბრეთ, რა პროფესიული ცოდნა და გამოცდილება არსებობს მეხილეობის სფეროში და ბოლო დროს რა დადებითი ტენდენციები შეიმჩნევა?

ამ მიმართულებით – განსაკუთრებით თანამედროვე მეხილეობის კუთხით – ძალიან დაბალი გამოცდილება იყო ჩვენთან, თუმცა ბოლო 10 წლის მანძილზე, ბევრი საერთაშორისო ორგანიზაციის დახმარებით, უცხოელი ექსპერტების და პროგრამების ჩართულობით, დარგმა დიდი ნახტომი გააკეთა. უკვე არაფრით ჩამოვუვარდებით ევროპის წამყვან მეურნეობებს. ჩვენს პროფესიაში ნელ-ნელა დაგროვდა საკმაოდ დიდი ცოდნა და გამოცდილება, წამოვიდნენ ახალი კადრები და სპეციალისტები, რომლებიც ამ მიმართულებით ეფექტურად მუშაობენ. ჩვენ უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მეხილეობის დარგი ვითარდება წარმატებულად და კონკურენციასაც უწევს ევროპის წამყვან მეხილეობის ქვეყნებს და რეგიონებს.

ზოგადად, აგრონომია მაინცდამაინც პოპულარული დარგი და სპეციალობა არ იყო ჩვენთან, რადგან ასოცირდება მძიმე შრომასთან, მაგრამ ბოლო პერიოდში საქართველოში და მთელ მსოფლიოში პოპულარული გახდა სოფლის მეურნეობა, წარმოება, პროდუქციის მოყვანა. საქართველოშიც ძალიან ბევრი ადამიანი არის ჩართული ამ საქმიანობაში.

დარგის პოპულარიზაციაში დიდი წვლილი სახელმწიფო პროგრამებს მიუძღვის, რომლებიც წარმატებულად ხორციელდება ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე. დადებით ტენდენციებში გამოვყოფდი სახელმწიფო პროგრამას „დანერგე მომავალი“ , რომელიც ითვალისწინებს ბაღების გაშენების ხელშეწყობას და ფერმერს ეხმარება ფინანსური და ტექნოლოგიური კუთხით. ფერმერები იღებენ სახელმწიფო გრანტს, რათა გააშენონ ბაღები და შეუძლიათ აიღონ იაფი აგროსესხი, რომლის პროცენტსაც ასუბსიდირებს სახელმწიფო. ამან ხელი შეუწყო დარგის განვითარებას და ბოლო 5-6 წლის მანძილზე ძალიან ბევრი ხეხილის ბაღი გაშენდა საქართველოში.

დარგის განვითარებასთან ერთად, ხომ არ გაჩნდა პროფესიონალი კადრების დეფიციტი მეხილეობის სექტორში? როგორ პოულობთ თქვენი კომპანიისთვის საჭირო სპეციალისტებს?

მართალი ბრძანდებით, დარგის განვითარებას ბუნებრივად მოჰყვა ის, რომ გაჩნდა მოთხოვნა

კვალიფიციურ კადრებზე. აქედან გამომდინარე, პროფესიულ სასწავლებლებსა და კოლეჯებში გაჩნდა მოთხოვნა, რომ შემუშავებულიყო პროგრამა, რომელიც დაინტერესებულ პირებს შეასწავლიდა მეხილეობას, აგრონომიას და სოფლის მეურნეობის სხვა დარგებს. ასეთი პროგრამები წარმატებით ფუნქციონირებს პროფესიულ კოლეჯებში. კომპანია „აგროკომი“, რომელსაც მე ვხელმძღვანელობ, წარმატებით თანამშრომლობს პროფესიულ სასწავლებელთან „განთიადი“, რომელიც მდებარეობს ქალაქ გორში. ჩვენს კომპანიას სასწავლებელთან გაფორმებული აქვს მემორანდუმი და აქტიურად ვართ ჩართული კადრების შერჩევაში, სასწავლო პროცესში და კურსდამთავრებულებს ვთავაზობთ სამუშაოს როგორც ჩვენს კომპანიაში, ასევე სხვა კომპანიებშიც მენეჯერებისა და აგრონომების პოზიციებზე. მინდა, აღვნიშნო, რომ ყოველწლიურად და ყოველთვიურად იზრდება მოთხოვნა სოფლის მეურნეობის კადრებზე.

რა პოტენციალი აქვს ქართულ ხილს საექსპორტო ბაზარზე, როგორ მუშაობთ ამ მიმართულებით და აქვს თუ არა მას პერსპექტივა, ადგილობრივ ბაზარზე იმპორტირებული პროდუქცია ჩაანაცვლოს?

ჩვენი ფერმერები აქტიურად ცდილობენ ახალი ბაზრების მოძიებას საექსპორტოდ. ამ შემთხვევაში განიხილება დსთ-ს ქვეყნების რამდენიმე ბაზარი. ასევე, აქტიურად მიმდინარეობს მოლაპარაკებები და ალბათ წარმატებით დასრულდება არაბეთის ქვეყნებთან და ჩვენი ვაშლი აღმოჩნდება არაბეთის წამყვან ქსელებში. ვფიქრობ, ქართულ ხილს გააჩნია ძალიან დიდი პოტენციალი როგორც შიდა ბაზარზე, ასევე საექსპორტო ბაზარზეც. სასურველია, 100%-ით მოხდეს შიდა ბაზრის ათვისება და ჩაანაცვლოს იმპორტირებული პროდუქცია. ვფიქრობ, რომ საექსპორტო ბაზრებზე ჩვენს ქვეყანას აქვს ძალიან კარგი პოტენციალი. ვაშლზე, მოცვზე, ბალზე, ატამზე და სხვა ხილზე, ჩვენ სურვილი გვაქვს, რომ ამ პროდუქტებით დავიკავოთ ჩვენი ნიშა და სავაჭრო მოცულობითი ბრუნვის წილი გვქონდეს საექსპორტო ბაზრებზე.

რა გამოწვევები გხვდებათ ამ პროცესში, ხომ არ იქმნება პრობლემები რეალიზაციასთან დაკავშირებით?

სოფლის მეურნეობა, ზოგადად, გამოწვევების დარგია, რადგან ჩვენ გვიწევს მუშაობა ღია გრუნტში, სადაც ძალიან ბევრი ხელის შემშლელი ფაქტორია, ვმუშაობთ არახელსაყრელ კლიმატურ პირობებში, რაც გულისხმობს არამდგრად პირობებს. ძალიან აქტუალური პრობლემაა გლობალური დათბობა, რომელიც აისახა წარმოების პროცესზე. წლების წინ პროდუქციის მოსაყვანად ფერმერს არ სჭირდებოდა იმხელა ძალისხმევა და შრომა, როგორც დღეს. ახლა გაცილებით მეტი ძალა,

ირაკლი მერკვილიშვილი.
ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

ენერგია, რესურსები და ფინანსები არის საჭირო, რომ ფერმერმა აწარმოოს ხარისხიანი პროდუქცია. განსაკუთრებით პანდემიის პერიოდში გართულდა ლოჯისტიკური მიმართულება, საერთაშორისო გადაზიდვები და ტვირთბრუნვები. ესეც გავლენას ახდენს წარმოების პროცესზე. შეფერხებულია, ზოგადად, წარმოების პროცესები. ასევე მსოფლიო ბაზარზე ნედლეულის ფასმა განიცადა მკვეთრი ცვლილება, კონკრეტულად, სასუქები და პესტიციდები ძალიან გაძვირდა. ფერმერს რეალურად პროდუქციის წარმოების თვითღირებულება 15-დან 20%-მდე გაეზარდა. პანდემიამდე პროდუქციის რეალიზაცია ფერმერს არ უჭირდა, თუ ხარისხიან პროდუქციას აწარმოებდა, ახლა კი კონკრეტულ პროდუქტებზეა შეფერხება რეალიზაციის კუთხით. მინდა, აღვნიშნო, რომ ჩვენი ბაღები მდებარეობს საზღვრისპირა სოფელში, კონფლიქტის ზონაში ვაწარმოებთ პროდუქციას, რაც რისკთან არის დაკავშირებული. მაგრამ ჩვენ არ ვუშინდებით ამას და ყოველწლიურად ვაფართოებთ მეურნეობას.

რომელია წამყვანი მიმართულებები თქვენს მეურნეობაში და რამდენად კონკურენტუნარიან პროდუქციას აწარმოებთ?

ჩვენი მეურნეობა დაფუძნებულია თანამედროვე ტექნოლოგიებზე. ჩვენ ვაწარმოებთ მსოფლიოში მოთხოვნად ჯიშებს. ეს არის: გოლდენი, გალა, პინოვა, გრანი სმიტი, წითელი დელიშესი. ასევე ვაწარმოებთ მსხლის ჯიშებს: კარმენი, სანტა მარია. გვაქვს ბალი, ატამი და ყველა ჯიში პასუხობს თანამედროვე, მარკეტინგულ მოთხოვნას, რომელსაც აყენებს მსოფლიო ბაზარი. ჩვენს მეურნეობაში წარმოებული პროდუქცია კონკურენციას გაუწევს იტალიაში ან ესპანეთში წარმოებულ პროდუქციას, იმიტომ რომ ჯიშები, რომლებსაც ვაწარმოებთ, არის თანამედროვე, მოთხოვნადი ჯიშები, რომლებიც მთელი მსოფლიოს მარკეტებში გვხვდება.

როგორც წარმატებული მეხილე და ფერმერი, რას ეტყვით იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ახლა ირჩევენ ამ პროფესიას, რა უნდა გაითვალისწინონ?

ახალგაზრდებს ვურჩევ, გააზრებული ჰქონდეთ დარგის სიყვარული, რადგან ვერც ერთ საქმეს ვერ გააკეთებ, თუ არ გიყვარს შენი

პროფესია. ახალგაზრდა, რომელიც მიდის სოფლის მეურნეობის მიმართულებით და გააზრებული არ აქვს ეს, შეიძლება ვერ გახდეს წარმატებული, რადგან ჩვენი პროფესია გამოწვევებით არის სავსე. ის ახალგაზრდები, რომლებიც მოტივირებული არიან, ზუსტად იციან, რა უნდათ, როგორ უნდათ და უყვართ სოფლის მეურნეობა, აუცილებლად წარმატებული იქნებიან თავიანთ სფეროში და დაიმკვიდრებენ თავიანთ ადგილს ამ პროფესიაში. აგრონომია უდავოდ საინტერესო დარგია, რომელიც ძალიან სწრაფად ვითარდება და ეფუძნება თანამედროვე, მაღალ ტექნოლოგიებს. ბევრ ახალგაზრდას ეძლევა საშუალება, აღმოაჩინოს ახალი სამყარო, ახალი მიმართულება, რომელსაც ჰქვია სოფლის მეურნეობა, წარმოების პროცესი და აღმოაჩინოს ყველაზე დიდი ბედნიერება ამ საქმეში – საკუთარი შრომის შედეგით მოამარაგოს ადგილობრივი თუ საექსპორტო ბაზრები და მის მიერ წარმოებული პროდუქცია მოხვდეს წამყვანი ბაზრებისა და მარკეტების ქსელებში.

რას გვეტყვით სამომავლო გეგმებზე?

ჩვენმა კომპანიამ შეიძინა დამატებით მიწის ფართობები და ახლა მიმდინარეობს სტრატეგიის შემუშავება. მომავალი წლიდან ჩვენ დავამატებთ ბლის, ატმის და ვაშლის ბაღებს, რომლებიც იქნება თანამედროვე, ახალი ტექნოლოგიებით გაშენებული და ჯიშებიც იქნება, რა თქმა უნდა, მსოფლიო ბაზარზე მოთხოვნადი.

მუდმივი ზრდა და განვითარება – პროფესიული განათლების მასწავლებლის, პიმენ ნაცვლიშვილის წარმატების ფორმულა

მორენა ტყემალაძვილი

პიმენ ნაცვლიშვილი, პროფესიით ეკონომისტი და გეოლოგი – პროფესიული განათლების მასწავლებელია. ის ფოთში, კოლეჯ „ფაზისში“ სტუდენტებს „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკას“ ასწავლის. ახალგაზრდა მასწავლებლის კარიერა პროფესიულ განათლებაში 2019 წელს დაიწყო. 2020 წლიდან, როდესაც, პანდემიის გამო, სასწავლო პროგრამები თანდათან დისტანციური გახდა, მისთვის ეს პროცესი შესაძლებლობების გამოცდად და მეტი მოქნილობის გამოვლენის საშუალებად იქცა. ჟურნალთან „პროფესიული განათლება“ პიმენ ნაცვლიშვილი საუბრობს პროფესიაში შემოსვლის ისტორიაზე, თავის პედაგოგიურ ხედვებსა და ცხოვრებისეულ კრედოზე – მუდმივად ისწავლოს, განვითარდეს და შემდეგ გამოცდილება სხვებსაც გაუზიაროს.

თქვენზე მოგვიყევით. როგორ შემოხვედით პროფესიულ განათლებაში და რას ასწავლით კოლეჯში?

პროფესიით ეკონომისტი და გეოლოგი ვარ. 2010-11 წლებში დავსაქმდი სატვირთო გადაზიდვების სფეროში და დღესაც ამ მიმართულებით ვმუშაობ. შემიძლია ვთქვა, რომ საკმაოდ დიდი ცოდნა და გამოცდილება დამიგროვდა.

გამომდინარე იქიდან, რომ ჩემი სტუდენტობა ასევე დაკავშირებული იყო თეატრალურ საქმიანობასთან, ანუ მომწონდა ის, თუ როგორ მიმქონდა მსმენელამდე ჩემი სათქმელი, აქაც, ამ სფეროშიც გამიჩნდა სურვილი, რომ ჩემი გამოცდილება სხვებისთვისაც გამეზიარებინა, ამას კი სასწავლო პროცესის სახე მიეღო.

2019 წლის დასაწყისში, როდესაც კოლეჯი „ფაზისი“ „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ პროგრამაზე მუშაობას და დანერგვას იწყებდა, როდესაც ის ერთგვარ მონიტორინგს, მოკვლევას ახორციელებდა გადამზიდავ კომპანიებში, ჩემდა საბედნიეროდ, მეც „გადავაწყდი“ ამ პროცესს. შემდგომ კი დიდი სიხარულით, სულისკვეთებით, ენთუზიაზმით ჩავერთე პროგრამის შემუშავებაში. 2019 წლიდან კოლეჯ „ფაზისში“ დავიწყე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის – „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ სწავლება პროფესიული სტუდენტებისთვის. დღესაც ამ სფეროში ვმუშაობ და ვარ პრაქტიკოსი მასწავლებელი. ყოველთვის მქონდა სურვილი, რომ საკუთარი ცოდნა შემეფასებინა კრიტიკულად და კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე გადასასვლელად მეშრომა. ესეც ალბათ ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა – შემოვსულიყავი პროფესიული განათლების სფეროში მასწავლებლად.

რა მნიშვნელობა აქვს რეგიონისა და, ზოგადად, ქვეყნისთვის სატვირთო გადაზიდვებს და რამდენად საჭიროა სპეციალისტები ამ მიმართულებით?

„სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ ის მიმართულებაა, რომელიც ყოველთვის იყო და იქნება მოწოდების სიმაღლეზე. ვგულისხმობ როგორც თვით სფეროს აუცილებლობას – ეკონომიკური მდგრადობის თვალსაზრისით, ასევე პროფესიონალი კადრების საჭიროებას – დასაქმების კუთხით. პანდემიის პერიოდში, როდესაც ეტაპობრივად დაიწყო სხვადასხვა სახის ჩაკეტვები და საბოლოოდ მოხდა სრული იზოლირება, ე.წ. ლოკდაუნი, ერთ-ერთი იმ სფეროებიდან, რომლებსაც ოპერირება არ შეუწყვეტიათ, იყო სატვირთო გადაზიდვები. ახალი კორონავირუსით გამოწვეულმა პანდემიამ, სამწუხაროდ, სხვადასხვა ბიზნესის გაკოტრება გამოიწვია, თუმცა ჩვენი სფერო ყველა გამოწვევას პასუხობდა სიტუაციის შესაბამისად. რომ არა სატვირთო გადაზიდვები, საპორტო საქმიანობა, სხვადასხვა ტიპის სახმელეთო,

სარკინიგზო, საავტომობილო, საზღვაო, საჰაერო გადაზიდვები, ქვეყანა აღმოჩნდებოდა ეკონომიკურ კოლაფსში, რაც ძალიან მძიმედ დაეტყობოდა ქვეყნის ეკონომიკას და, რა თქმა უნდა, ადამიანთა კეთილდღეობას. ამიტომ, შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ დღესდღეობით და სამომავლოდაც ეს სფერო მჭიდროდ არის დაკავშირებული არა მარტო ჩვენი ქალაქის, არამედ, ზოგადად, ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და წინსვლასთან. ასევე, ჩვენ წარმოვადგენთ სატრანსპორტო დერეფანს, რომელიც ერთმანეთთან აკავშირებს ქვეყნებს, კონტინენტებს. შესაბამისად, სატვირთო გადაზიდვები ყოველთვის იქნება აქტუალური და ამ მხრივ საჭირო პროფესიონალი მუშახელი ყოველთვის იქნება მოთხოვნადი ჩვენს შრომით ბაზარზე.

კოლეჯ „ფაზისში“ პროგრამას ორი მიდგომით ვასწავლით. ერთია მოდულური, მეორე – დუალური, რომელიც გულისხმობს სასწავლო პროცესის 50%-ის და მეტის წარმართვას გადამზიდავი კომპანიების ბაზებზე, რაც ცალკეულ შემთხვევებში ანაზღაურებადია. საბოლოდ, დუალური განათლება საშუალებას აძლევს სტუდენტებს, დარგობრივი უნარების შეძენა-განვითარებისა და თავიანთი შესაძლებლობების გამოვლენის შემთხვევაში, დასაქმდნენ იმ კომპანიაში, სადაც პრაქტიკას გადიან.

„ფაზისს“ „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკის“ პროგრამის

პიმენ ნაცვლიშვილი.
ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

მიმართულებით ჰყავს რამდენიმე პარტნიორი გადამზიდავი კომპანია, რომლებთანაც ვთანამშრომლობთ. მათ ვაწვდით საჭირო კადრებს ჩვენი კურსდამთავრებულების სახით. ნიშანდობლივია ისიც, რომ დღეს უკვე იმაზე მეტი პარტნიორი კომპანია გვყავს, ვიდრე საწყის ეტაპზე, პირველი ჯგუფების მიღებისას.

რას ეტყოდით თქვენს პოტენციურ სტუდენტებს, რატომ უნდა აირჩიონ თქვენი პროგრამა, რას მოიცავს ის?

როცა პროფესიულ არჩევანს ვაკეთებდი, ასეთი პროფესიული სასწავლებლები რომ ყოფილიყო და ეს ინფორმაცია ვინმეს სწორად მოეტანა ჩემამდე, მე დაუყოვნებლივ ავირჩევდი პროფესიულ განათლებას. მინდა, დავარწმუნო ყველა ის დაფიქრებული ახალგაზრდა, რომელსაც ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ რომელი პროფესია აირჩიოს, რომ პროფესიული განათლება არ არის დროის კარგვა, ეს ახალგაზრდისთვის ცხოვრების მიმართულების სწორად განსაზღვრა, გონებრივი თუ ფიზიკური შესაძლებლობების რეალიზებაა.

კოლეჯი „ფაზისი“, თავისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზითა თუ სასწავლო რესურსით, გამოცდილი, პროფესიონალი მასწავლებლებით, ადმინისტრაციითა და დირექციით, ის ადგილია, სადაც შეგიძლიათ სხვადასხვა პროფესიას სრულფასოვნად დაეუფლოთ. თუ ახალგაზრდა მოწადინებულია, ისწავლოს, ის ნამდვილად მოახერხებს საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებას და შემდეგ უკვე დასაქმებას. დღეს სტუდენტს აქვს მეტი შემხებლობა საქმესთან, პრაქტიკული აქტივობების მეტი შესაძლებლობა, რაც ეხმარება მას, სწრაფად დაეუფლოს პროფესიას და მოძებნოს ანაზღაურებადი სამსახური. პროფესიული განათლება კი აძლევს იმის საშუალებას ადამიანებს, რომ უფრო მარტივად, შედარებით მოკლე დროში, გააზრებულად დაეუფლონ პროფესიას და ჰქონდეთ შემოსავალი. ეს არის ძალიან კარგი მოტივაცია ახალგაზრდებისთვის.

„სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ შეისწავლის საერთაშორისო კომერციული საქმიანობის სხვადასხვა მნიშვნელოვან ასპექტს, დეტალს, ნიუანსს, დაკავშირებულს იმპორტთან, ასევე – ექსპორტთან. ვასწავლით იმას, რაც დაკავშირებულია ტრანზიტულ გადაადგილებასთან. უკვე აღვნიშნეთ, რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობა – კომერციული საქმიანობა, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნის კომპანიები აწარმოებენ, ჩვენს ტერიტორიაზეც მიმდინარეობს და შესაბამისად, ჩვენც, სატრანსპორტო კომპანიებიც ვიღებთ ამაში მონაწილეობას, ოპერაციების სწორი ცოდნითა და მართვით. ვასწავლით სხვადასხვა ტიპის გადაზიდვებს, საბაჟო-სასაქონლო ოპერაციებს და ზოგადად, საბაჟოსთან სწორ, ადეკვატურ მიდგომებს. ტვირთის ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე მისატანად, ერთიან ლოგისტიკურ ჯაჭვში არის სხვადასხვა აუცილებელი რგოლი და ჩვენ აქ წარმოვადგენთ ერთგვარ ლოკომოტივს, რომ ერთი მხრივ, გაყიდული საქონლის, მეორე მხრივ კი, შესყიდული საქონლის უსაფრთხოდ, სწორად და დათქმულ დროს მიტანა უზრუნველვყოთ. ეს არის და ყოველთვის იქნება მოთხოვნადი საქმიანობა, რადგან სატვირთო გადაზიდვების, კომერციული საქმიანობებისა და საერთაშორისო ვაჭრობის გარეშე კაცობრიობის არსებობა წარმოუდგენელია.

პანდემიამ და დისტანციურმა სწავლებამ რა გამოწვევები შეგიქმ-

ნათ და ამ დაბრკოლებებს როგორ გაუმკლავდით?

პროფესიული სასწავლებლებისთვის მთლად სახარბიელო და რელევანტური არ არის ყველა მიმართულებით დისტანციურ სწავლებაზე გადასვლა. ბუნებრივია, ვერც მოხდება ყველა მოდულის, ყველა პროგრამის დისტანციურად სწავლება. სანამ პანდემია დაიწყებოდა, ანუ სანამ გადავიდოდით დისტანციურ სწავლებაზე, გაეროს მხარდაჭერით, პროექტის „ერთობლივი პროგრამა გენდერული თანასწორობისათვის“ ფარგლებში, მომზადდა მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამები, რომლებიც თავიდანვე გათვალისწინებული იყო დისტანციურად სწავლებისთვის. ამ ფორმატში დაწყებულმა პროგრამამ, ფაქტობრივად, მოგვამზადა ონლაინსწავლების ფორმატში გადასვლისათვის და ადაპტირებაც ბევრად მარტივი აღმოჩნდა.

მეც ჩავატარე 3-თვენახევრიანი მომზადების კურსი სატვირთო გადაზიდვების მიმართულებით და მიუხედავად იმისა, რომ პირველი გამოცდილება მაინც „მწარე“ იყო, რადგან სტუდენტთან ერთად მასწავლებელიც სწავლობს პროცესის მართვას, შემდეგ უკვე მეორე და მესამე პროგრამები გამოდგა ერთმანეთზე უკეთესი. სასწავლო პროცესიდან სტუდენტმაც და მასწავლებელმაც – ორივე მხარემ მივიღეთ ძალიან კარგი შედეგი. ეს მოკლევადიანი მომზადება-გადამზადების პროგრამები აღმოჩნდა ჩვენთვის, ჩვენი კოლეჯისათვის საფუძველი – შეგვესწავლა სისტემა, მისი სწორად მართვა და ძალიან მარტივად, მოქნილად გადავსულიყავით ძირითადი პროგრამის განხორციელებისთვის ონლაინპლატფორმაზე. პანდემიისას პროგრამების შემადგენელი საწარმოო პროცესი არ გაჩერებულა კოლეჯის პარტნიორ ორგანიზაციებში. კომპანიები ყოველგვარი რეგულაციების დაცვით ახორციელებდნენ სტუდენტთა პრაქტიკულ მეცადინეობებს.

შემიძლია გაგიზიაროთ ჩემი დაკვირვება ონლაინ სასწავლო პროცესზე. ჩვენი სტუდენტები დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ და ახლაც ეკიდებიან დისტანციურ ჩართვებს. ეს არ იყო და არ არის მოვალეობის მოხდა. შემიძლია ასეთი რამ გიამბოთ: პირველი დისტანციური ჩართვისას გვყავდა მსმენელები, რომლებიც ერთვებოდნენ, მაგალითად, იტალიიდან, მაღალმთიანი ბახმაროდან, მატარებლიდან თუ სხვა ადგილებიდან და იყვნენ საოცრად აქტიურები, მოტივირებულები. ეს იყო სასიამოვნოდ გასაკვირი ჩვენთვის – მასწავლებლებისთვის.

პროფესიული განათლება დინამიკური სფეროა, მუდმივად ვითარდება და მნიშვნელოვანი ცვლილებები ხდება. როგორ უწყობთ ნაბიჯს ამ ცვლილებებს და რამდენად მნიშვნელოვანია მასწავლებლისთვის მუდმივი პროფესიული ზრდა და განვითარება?

მუდმივი პროფესიული ზრდა აუცილებელი პირობაა, რომ კოლეჯის მასწავლებლები ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე ვიყოთ. ჩემი მიმართულება – „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ მუდმივად განახლებადი სფეროა. ჩვენ სხვადასხვა კუთხით ვეხებით სახელმწიფო თუ კერძო სექტორს. შესაბამისად, თუ მასწავლებელმა არ იცის თავისი პროფესიის ყოველდღიურობა, რა სიახლეებია, მაგალითად, საბაჟო სისტემაში, საზღვაო გადამზიდავ კომპანიებში, სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებში, რომლებთან ურთიერთობით შედგება ჩვენი საერთო სატრანსპორტო ლოგისტიკური ჯაჭვი, მაშინ მას გაუჭირდება, სტუდენტს გადასცეს ადეკვატური ცოდნა. ასე რომ, მნიშვნელოვანია, ვიყოთ პრაქტიკოსები, ვემსახურებოდეთ ჩვენს კონკრეტულ სფეროს, რომ თეორიული და პრაქტიკული ცოდნა გადავცეთ სტუდენტებს.

გარდა ამისა, მასწავლებელს უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული ნიჭი და უნარ-ჩვევები, კარგად მიიტანოს სათქმელი სტუდენტამდე, რადგან ყველა სტუდენტს თავისი ინდივიდუალური მახასიათებელი აქვს. იმისთვის, რომ მოგისმინოს, შენ უნდა განაწყო ის და ვერ განაწყობ, თუ, პირველ რიგში, მასწავლებელი, როგორც პიროვნება ვერ წარმოჩინდები სტუდენტის თვალში.

ესე იგი, ჩვენც, მასწავლებლებიც ვსწავლობთ სწავლების პროცესში. ვსწავლობთ იმას, თუ როგორ მივესალმოთ, როგორ ვეხუმროთ, როგორ დავემშვიდობოთ სტუდენტს, რაც კიდევ უფრო გვიადვილებს, რომ ჩვენი ცოდნა სწორი გზებით მივიტანოთ მსმენელამდე.

საჭირო დროს საჭირო ადგილზე პროფესიული ცოდნით – ლოჯისტ ანა ბერაიას წარმატების ისტორია

მორენა ტყემელუმვილი

ანა ბერაია ფოთის მკვიდრია. ის 27 წლისაა. ანამ უმაღლესი განათლება თბილისში, ილიას უნივერსიტეტში მიიღო, სადაც ბიზნესის ადმინისტრირება და მენეჯმენტი შეისწავლა. სწავლის დასრულების შემდეგ ლოჯისტიკური სერვისის მიმწოდებელ კომპანიაში დაიწყო მუშაობა. ანას მოსწონდა თავისი სამსახური, თუმცა სურდა, უფრო ღრმად შეესწავლა პროფესია და უფრო აქტიურად ჩართულიყო ლოჯისტიკურ საქმიანობაში. რამდენიმე წლის შემდეგ ის თბილისიდან მშობლიურ ფოთში დაბრუნდა და გადაწყვიტა, იქ დაემკვიდრებინა თავი. მეგობარმა კოლეჯ „ფაზისზე“ უამბო, რომელიც ფოთში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვან არჩევანს სთავაზობს დაინტერესებულ პირებს. ანამ ისიც შეიტყო, რომ კოლეჯში ერთ-ერთი პროგრამა „სატვირთო გადაზიდვების ლოგისტიკა“ იყო, რომელიც მას ძალიან აინტერესებდა და სურდა, უფრო ღრმად შეესწავლა. ანამ გადაწყვიტა, ჩაებარებინა კოლეჯში, აირჩია პროგრამა, გაიარა გასაუბრება, შეარჩიეს და დაიწყო სწავლა სასურველი მიმართულებით.

„პროგრამით განსაკუთრებით იმიტომ დავინტერესდი, რომ კოლეჯში საშუალება მეძლეოდა, ლოჯისტიკა დუალური პროგრამით მესწავლა. სწავლის პროცესი ჩემთვის ორმაგად საინტერესო და ნაყოფიერი იყო, რადგან უფრო მეტი აქცენტი კეთდებოდა პრაქტიკულ სწავლებაზე და ეს კარგ გამოცდილებას მაძლევდა“.

სატვირთო გადაზიდვების ლოჯისტიკის პროგრამა კოლეჯ „ფაზისში“ სტუდენტს ამ სფეროსათვის საჭირო საფუძვლიან ცოდნასა და გამოცდილებას აძლევს. სტუდენტები სიღრმისეულად შეისწავლიან სატრანსპორტო დოკუმენტაციის შევსებას, სამგზავრო და სატვირთო გადაზიდვების დაგეგმვას, შეკვეთის დამუშავებას, გაფორმებას და ლოჯისტიკური საქმიანობისთვის ყველა საჭირო უნარ-ჩვევას გამოიმუშავებენ.

საპორტო ქალაქის მცხოვრებლებისთვის ტვირთების გადაზიდვა უცხო არ არის და ბევრი ადგილობრივია ჩართული ამ საქმიანობაში. არც ანას ოჯახი წარმოადგენს გამონაკლისს – მამამისი დიდი ხანია, ამ სფეროში მუშაობს და ანას ბავშვობიდან ესმოდა ლოჯისტიკასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. პროფესიული ტერმინოლოგია და საკითხები მეტ-ნაკლებად ნაცნობი იყო მისთვის ადრეული წლებიდან.

ანა ბერაია ამჟამად მუშაობს ფოთში, სატრანსპორტო გადაზიდვების კომპანიაში „უნივერსალური სატრანსპორტო სერვისი“, სადაც ლოჯისტიკის მენეჯერია. ეს კომპანია კოლეჯის პარტნიორია, დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაშია ჩართული და მათ მიერ შერჩეული სტუდენტები პრაქტიკულ კომპონენტს მათსავე ბაზაზე გადიან. დასაქმებაში ანას კოლეჯში მიღებული ცოდნა, გამოცდილება და მოტივაცია დაეხმარა. ის ფოთის პორტში შემოსული ტვირთის დროულად ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს.

„წინათ, სადაც ვმუშაობდი, არ მქონდა წვდომა ლოჯისტიკასთან. უბრალოდ, კლიენტების მოზიდვაზე ვმუშაობდი, ლოჯისტიკას სხვა თანამშრომლები აკეთებდნენ და ეს ძალიან მაინტერესებდა. ახლა ჩემს ახალ სამსახურში მომეცა იმის საშუალება, გავაკეთო ის, რაც ძალიან მომწონდა. ჩემთვის საინტერესო გამოწვევაა, ვიცოდე დეტალურად, რა დოკუმენტი რას წარმოადგენს, რომელ სატრანსპორტო გადაზიდვის ხაზთან შეგვიძლია ვითანამშრომლოთ, რა ტარიფები აქვთ სხვადასხვა გადამზიდავებს. ამ ყველაფრის ცოდნა მნიშვნელოვანია, რომ ვაწარმოოთ გამართული ლოჯისტიკური საქმიანობა“.

ანას ვკითხეთ, რატომ იყო მისთვის საინტერესო ლოჯისტიკის სფერო და რა იზიდავდა ახალ პროფესიაში.

ანა ბერაია. ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

„ლოჯისტიკა ძალიან დინამიკური სფეროა, აქ მუდმივად იცვლება ყველაფერი, მუდმივად სიახლეებია, რაც განსაკუთრებულად მომწონს. შემეძლო ნებისმიერ ბანკში მემუშავა ჩემი პირველი პროფესიით, საკმაოდ რუტინულ სამუშაოზე. ამ პროფესიაში კი მუდმივად რაღაც ახალი ხდება, თავისებური პროფესიული დაძაბულობაც არის, რაც ძალიან მხიბლავს და უფრო მეტ მოტივაციას მიჩენს. სხვადასხვა დაბრკოლება – ტრანსპორტირების დაგვიანება ან სხვა სირთულეები საქმეში უფრო აზარტულს მხდის, რომ მოვაგვარო, პრობლემის გადაწყვეტის სხვადასხვა ვარიანტზე ვიფიქრო და ალტერნატივები მოვიძიო, რომ ჩვენი კომპანიის კლიენტმა დროულად მიიღოს და ჩაიბაროს ტვირთი. გარდა იმისა, რომ მომწონს ეს საქმიანობა, შემიყვარდა კიდეც, რაც ძალიან მნიშვნელოვანი მგონია. თუ შენი პროფესია გიყვარს, დარწმუნებული ვარ, უფრო მეტ წარმატებასაც მიაღწევ“, – ამბობს ანა.

ანასთან საუბრისას ტელეფონში მისი ორი თვის ჩვილის ღუღუნი ისმის. ის ახლა სახლიდან, დისტანციურად მუშაობს, თან პატარას უვლის და საქმეებსაც უძღვება – პასუხობს მეილებს, რეკავს სხვადასხვა მისამართზე, ამოწმებს ტვირთის მიღებასა და ჩაბარებას, უკავშირდება კლიენტებს. მისი პროფესია ამ მხრივ მოქნილობის საშუალებას აძლევს და ამით კმაყოფილია.

„მთავარია, გიყვარდეს ეს საქმე, არ გეზარებოდეს და გაინტერესებდეს. მე ვიპოვე ჩემი თავი იქ, სადაც ახლა ვარ და ეს ძალიან მომწონს, ეს ძალიან კარგია“, - ამბობს ანა, რომელმაც პროფესიული განათლების დახმარებით საყვარელ საქმეს მიაგნო. ის დარწმუნებულია, რომ საქმე, რომელიც გიყვარს, პროფესიული და კარიერული წარმატების წინაპირობად იქცევა.

კომპანიის ინსტრუქტორი – პროფესიული მასწავლებლის ახალი კატეგორია

ნინო ელბაქიძე

კვლევის შედეგების მიმოხილვა და ზოგადი ტენდენციები

მას შემდეგ, რაც საქართველოს პროფესიული განათლების სისტემამ დაიწყო სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმით დუალური განათლების დანერგვა, აქტუალური გახდა პროფესიული მასწავლებლის ახალი კატეგორია – კომპანიის ინსტრუქტორის მნიშვნელობა და როლი ხარისხიანი განათლების კონტექსტში.

კომპანიის ტრენერი პროფესიული განათლების მასწავლებლის განსხვავებული კატეგორიაა, რომელსაც აქვს, ერთი მხრივ, პროფესიის/საგნის ფუნდამენტური ცოდნა, მეორე მხრივ კი, პედაგოგიური უნარები, რათა სტუდენტს პროფესიისთვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარებაში დაეხმაროს. კომპანიის ტრენერს ხანდახან კომპანიის ინსტრუქტორსაც უწოდებენ. ერთმნიშვნელოვნად ვერ ვიტყვით, რომ ის მასწავლებელია, რადგან კომპანიის ინსტრუქტორის ძირითადი სამუშაო ადგილი თავად კომპანიაა, თუმცა, მეორე მხრივ, ის მუშაობს სტუდენტთან და ეხმარება მას პრაქტიკული უნარების განვითარებაში ისევე, როგორც ამას აკეთებს მასწავლებელი პროფესიულ სასწავლებელში, თეორიული სწავლების დროს. გერმანიის პროფესიული განათლების სისტემაში კომპანიის ინსტრუქტორი პრესტიჟული პროფესიაა. ის მაღალანაზღაურებადია, ამ პროფესიის ადამიანები ხელს უწყობენ როგორც ხარისხიანი პროფესიული განათლების მიღებას, ისე თავად ორგანიზაციის ან კომპანიის განვითარებასაც. კომპანიის ტრენერის ინსტიტუტი გერმანიაში დაიბადა და საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს. ბუნებრივია, ამ ხნის განმავლობაში ინსტიტუტმა მრავალი სასიკეთო ცვლილება განიცადა და, თავის მხრივ, უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა პროფესიული განათლების განვითარებაში.

რაც შეეხება მის მოვალეობებს: გერმანიაში არსებობს ოფიციალური ნორმატიული აქტი და კანონქვემდებარე დოკუმენტი, სადაც გაწერილია კომპანიის ინსტრუქტორის უფლება-მოვალეობები. იქ პროფესიული განათლება კანონით განსხვავებულად არის რეგულირებული, ვიდრე საქართველოში. ჩვენთან, ჯერჯერობით, ოფიციალურად არ არის გაწერილი კომპანიის ინსტრუქტორის პასუხისმგებლობები, ამაზე მუშაობა ამჟამად მიმდინარეობს. თუმცა კომპანიის ინსტრუქტორები მუშაობენ პროფესიულ სტუდენტებთან როგორც პროფესიული პრაქტიკის ფარგლებში, ასევე დუალური და სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმატში. კომპანიის ინსტრუქტორის ძირითადი მოვალეობებია: სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარებისთვის სამუშაო გარემოს მოწყობა, სწავლების ფორმების ცოდნა და გამოყენება ამ პროცესში; სტუდენტისთვის ინსტრუქციების მიცემა და სამუშაო პროცესში ეტაპობრივად ჩართვა, მისი შეფასება და სხვა. ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია, რომელიც კომპანიის ინსტრუქტორს აქვს, გახლავთ მისი, როგორც პროფესიონალის როლი და პროფესიული შრომითი ორიენტაციის მიცემა სტუდენტისთვის. მნიშვნელოვანია, რომ ინსტრუქტორმა მიიღოს პროფესიული სტუდენტი, როგორც „მომავალი თაობა“ და არა როგორც მომავალი კონკურენტი. სწორი და კეთილგანწყობილი კომუნიკაცია პროფესიულ სტუდენტსა და კომპანიის ინსტრუქტორს შორის წარმატებული თანამშრომლობის მთავარი გასაღებია.[1]

საქართველოს ფერმერთა ასოციაცია ერთ-ერთი პირველია, რომელმაც დაიწყო სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვა სოფლის მეურნეობის პროფესიებში. ორგანიზაციის ინიციატივით

ჩატარდა დუალურ განათლებაში ჩართული კომპანიის ინსტრუქტორების კმაყოფილების კვლევა, რომელმაც გამოკვეთა ინსტრუქტორების დამოკიდებულებები დუალური სწავლების მიმართ და ასევე საინტერესო ტენდენციები, რომელთა გათვალისწინებაც პროცესების ხარისხს გააუმჯობესებს.

კვლევის მიზანი იყო სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში კომპანიის ინსტრუქტორის კომპონენტის დახვეწა და განვითარება, ასევე:

- კომპანიის ინსტრუქტორის როლის გამოკვეთა;
- შესაძლო ხარვეზებისა და პრობლემების იდენტიფიცირება;
- პროფესიულ მასწავლებელთან თანამშრომლობა;
- პროფესიულ სტუდენტზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის წარმართვა.

სანამ სასწავლო პროცესს შეუდგებიან კომპანიის ინსტრუქტორები, მნიშვნელოვანია, რომ მათ ჰქონდეთ პედაგოგიური მომზადება პროფესიულ განათლებასა და პროფესიულ პედაგოგიკაში. ამგვარი შესავალი ტრენინგი მათ სასწავლო პროცესის დაწყებამდე გაიარეს. კვლევის თანახმად: მიუხედავად იმისა, რომ დაწყებით ეტაპზე მათ საკმარისი წინასწარი ინსტრუქტაჟი გაიარეს, მოდელის განხორციელების პროცესში გამოიკვეთა ბევრი განსახილველი და შესათანხმებელი საკითხი. აქედან გამომდინარე, მიაჩნიათ, რომ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოდელი შემდგომ დახვეწასა და გამართვას მოითხოვს.[2] დახვეწის კომპონენტში ინსტრუქტორები მნიშვნელოვნად მიიჩნევენ ორ ძირითად კომპონენტს: 1. პროფესიულ მასწავლებლებთან თანამშრომლობა და 2. სწავლების პროცესში ფერმერის საკუთრების დაცულობის გარანტიების საკითხები.

კომპანიის ინსტრუქტორების აბსოლუტური უმრავლესობა პროფესიულ მასწავლებლებთან თანამშრომლობდა. ასევე უმრავლესობა დადებითად და ძალიან დადებითად აფასებს ამ პროცესებს, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ მასწავლებლისა და ინსტრუქტორის თანამშრომლობას არ აქვს სისტემური და სისტემატური სახე; მეტი დახმარებაა საჭირო პროფესიული სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მისაღწევად შეთანხმებულად თანამშრომლობისათვის.

ინსტრუქტორები პოლიტიკის განმსაზღვრელებს სთავაზობენ კონკრეტულ რეკომენდაციებს მასწავლებლებთან თანამშრომლობის გაძლიერებისათვის:

„თეორიისა და პრაქტიკული სამუშაოების სინქრონირებისათვის წინასწარ ერთად უნდა დაიგეგმოს სასწავლო პროცესები, ეს შედეგის მიღწევის გარანტიაა“.

„აუცილებელია, ინსტრუქტორმა და პროფესიულმა მასწავლებელმა ერთად გაწერონ სამუშაო გეგმა, რათა თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობის თემატიკა თანხვედრაში იყოს“.

„გაკეთდეს ქსელი კომპანიის ინსტრუქტორთა და პროფესიულ მასწავლებელთა ინტერაქტიული კომუნიკაციისათვის, რათა მუდმივად იყოს ურთიერთობა და გამოცდილების გაზიარება“.

კომპანიის ინსტრუქტორები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებენ სტუდენტების შერჩევის პროცედურებს, რადგან სტუდენტის მიერ სწორად შერჩეული პროფესია განაპირობებს მეტწილად მის წარმატებასაც. ინსტრუქტორები გვთავაზობენ რეკომენდაციებს:

„უნდა შეირჩეს მოტივირებული, სწავლის ელემენტარული უნარების მქონე ახალგაზრდები, რომელთაც ექნებათ პერსპექტივა ამ სფეროში და რეალურად გამოადგებათ მიღებული ცოდნა“.

„[სტუდენტების] ნაწილი არა-მოტივირებულია, არ არიან ჩამოყალიბებული არჩევანში, სტუდენტებს უნდა დავანახოთ რეალობაში პროფესიის სიძნელე, რაც დაეხმარება მათ სწორი გადაწყვეტილების მიღებაში“.

„პროფესიული სტუდენტის შერჩევამდე უნდა მოხდეს მისთვის სამუშაო/სასწავლო პროცესის წინასწარი გაცნობა, უშუალოდ სასწავლო/სამუშაო ადგილზე, რაც გაუმჯობესებს მომავალ თანამშრომლობას“.

„სტუდენტი კარგად უნდა იცნობდეს კომპანიას, სადაც გაივლის დუალურ სწავლებას (მისი მიღწევებით, თანამედროვე ტექნოლოგიებით, ლაბორატორიებით)... კომპანია აქტიურად უნდა ზრუნავდეს სტუდენტის პროფესიული განვითარებისა და დასაქმებისათვის“.

„სწავლის დაწყებამდე სტუდენტმა უნდა გაიაროს წინასწარი კურსი/ტრენინგი ქცევის ნორმებსა და უსაფრთხოების წესებში“.

„ფერმერი/საწარმოს მეპატრონე არ არის დაზღვეული მის საწარმოში დაშვებული სტუდენტების (მათ შორის, არასრულწლოვნების) პრობლემური ქცევისაგან, არაკეთილსინდისიერი საქციელისაგან, რამაც შეიძლება სერიოზული მატერიალური ზიანი მიაყენოს საწარმოს“.

„კოლეჯის მხრიდან მეცადინეობებზე დასწრების მკაცრი კონტროლი უნდა იყოს, მონიტორინგი აუცილებელია“.

„სტუდენტებს რაც შეიძლება მეტი პრაქტიკის ობიექტი უნდა ჰქონდეთ, ხოლო საწარმოებს – ხელშეწყობა სახელმწიფოს მხრიდან (თუნდაც შეუმცირდეთ გადასახადები)“.

„აუცილებელია სტუდენტთა მოტივაციის ამაღლება, წახალისება, რით ავუმაღლოთ მოტივაცია სტუდენტებს – როგორია საზღვარგარეთ ამის გამოცდილება“.

ინსტრუქტორების მოტივაციაზე სხვადასხვა ფაქტორი ახდენს გავლენას, თუმცა ის ფაქტი, რომ ისინი არ იღებენ დამატებით რაიმე სახის ანაზღაურებას და არც საგადასახადო შეღავათები აქვთ, შესაძლებელია, დადებითად არ აისახებოდეს მათ მდგრად ჩართულობაზე პროფესიულ განათლებაში. პროფესიულ სტუდენტებთან ბევრი მუშაობს პროფესიული ენთუზიაზმით, მაგრამ დროთა განმავლობაში აუცილებელი გახდება, რომ ინსტრუქტორებისთვის მოტივაციის პაკეტი შემუშავდეს, რაც მოიცავს როგორც ფინანსური, ასევე არამატერიალური წახალისების მექანიზმებს.

რა ფაქტორები განაპირობებს კომპანიის ინსტრუქტორების მოტივაციას:

როგორც გამოკითხვის შედეგები აჩვენებს, ინსტრუქტორების უმრავლესობა მთავარ მოტივატორად ასახელებს ფინანსურ ანაზღაურებას, თუმცა, რეალური სიძნელეებიდან გამომდინარე, განიხილავს მის ჩანაცვლებას წახალისების/დახმარების სხვა, არაფულადი საშუალებებითაც.

სამწუხაროდ, პანდემიამ მნიშვნელოვნად დააზარალა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დანერგვა საქართველოში. დაიკეტა საწარმოები, სტუდენტებს უჭრიდათ გადაადგილება ტრანსპორტის აკრძალვის გამო და ამიტომ დუალურ განათლებაში ჩართული სტუდენტების რაოდენობამაც იკლო პანდემიის პერიოდში. საქართველოს ფერმერთა ასოციაციას დაგეგმილი აქვს განმეორებითი კვლევის ჩატარება, რათა შედეგებზე დაკვირვებით განისაზღვროს კომპანიის ინსტრუქტორების პროფესიულ განათლებაში ჩართულობის დინამიკა. სოფლის მეურნეობის პროფესიებში მიღებული გამოცდილება მნიშვნელოვანი რესურსია სხვადასხვა დარგში დუალური პროგრამების დანერგვისა და კომპანიის ინსტრუქტორების ეფექტიანობის განსაზღვრისათვის.

ჟურნალი „პროფესიული განათლება“ სამომავლოდაც გააშუქებს კვლევის შედეგებს, რათა მკითხველს მივაწოდოთ ინფორმაცია პროფესიულ განათლებაში მიმდინარე აქტუალური პროცესების შესახებ.

შენიშვნები

1 დამატებითი ინფორმაცია კომპანიის ინსტრუქტორების პროფესიის შესახებ: https://akhaliganatleba.ge/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%A1%E1%83%AC%E1%83%90%E1%83-%95%E1%83%9A%E1%83%94/

2 დამატებითი ინფორმაცია კვლევის შედეგებზე: https://gfa.org.ge/%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%9E%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A5%E1%83%A2%E1%83%9D%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მისია

თამარ ალადაშვილი

ჟურნალ პროფესიული განათლების კითხვებს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ხელმძღვანელი, თამარ ალადაშვილი პასუხობს.

ქალბატონო თამარ, ცენტრი, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ, 2013 წლის 14 მაისს დაარსდა და მისი ძირითადი მიზნებია: საზოგადოების გარემოსდაცვითი და აგრარული განათლების ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება; გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობა და გარემოსდაცვით და აგრარულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. გთხოვთ, გვესაუბროთ თქვენი ცენტრის მთავარ სამიზნე ჯგუფებზე.

გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის სამიზნე სექტორი მრავალფეროვანია: მოსწავლეები, სტუდენტები, პედაგოგები, პროფესორ-მასწავლებლები, კერძო და საჯარო სექტორის, მათ შორის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საინფორმაციო საშუალებების წარმომადგენლები, ფერმერები, დაინტერესებული საზოგადოება და სხვა. ცენტრი, მანდატის ფარგლებში, აქტიურად ახორციელებს შეხვედრებს როგორც გარემოსდაცვითი, ასევე აგრარული მიმართულებით ისეთ ორგანიზაციებთან, როგორებიცაა სკოლამდელი აღზრდის, ზოგადსაგანმანათლებლო, უმაღლესი და პროფესიული სასწავლებლები.

ჩვენი მისიაა, აქტიურად ვიყოთ ჩართული ყველა იმ საქმიანობაში, რომელიც მიზნად ისახავს გარემოსდაცვითი და აგრარული კომპონენტების აქტუალიზაციას, როგორც შესაბამის განათლებაზე, ასევე სრულფასოვან ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გზით. ასევე ცენტრის გუნდი უზრუნველყოფს საზოგადოების აგრარული და გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლებას, შესაბამისი სპეციალისტების მომზადებას, გადამზადებას, კვალიფიკაციის ამაღლებასა და სწავლების ხელშეწყობას.

მუდმივად ვზრუნავთ, გავზარდოთ საკუთარი საქმიანობის ეფექტიანობა როგორც ადგილობრივი, ასევე უცხოელი ექსპერტების ჩართულობით. მჭიდროდ ვთანამშრომლობთ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. ცენტრის შენობაც მოიცავს სასწავლო და სამუშაო პროცესისთვის განკუთვნილ სივრცეებს.

მთელ მსოფლიოში გარემოსდაცვითი და აგრარული განათლება მნიშვნელოვანია, შესაბამისად, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის ერთ-ერთი მთავარი მიზანი გარემოსდაცვითი და აგარარული განათლების ხელშეწყობა და ამ გზით მოსახლეობის ცოდნისა და ცნობიერების დონის ზრდაა. სწორედ ამიტომ 2013 წლიდან აქტიურად ვმუშაობთ ამ სფეროებში განათლების ხელშეწყობაზე როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური და არაოფიციალური მიმართულებით მრავალფეროვანი და სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის.

ჩვენი, როგორც პროფესიული განათლების ჟურნალის მთავარი სამიზნე პროფესიული კოლეჯები და ის ადამიანებია, ვისაც კოლეჯში აგრარული პროფესიების შესწავლა სურთ. რა არის თქვენი ცენტრის კონტრიბუცია პროფესიულ აგრარულ მიმართულებებზე?

ჩვენს ერთ-ერთ მთავარ მიზანს უწყვეტი განათლების ხელშეწყობა

თამარ ალადაშვილი.
ფოტო ირმა გაჩეჩილაძე

წარმოადგენს, შესაბამისად, იგეგმება პროფესიული სასწავლებლების გაძლიერების ხელშეწყობა, ახალი არჩევითი საგნების შემუშავება და შეთავაზება, ასევე აგრარული მიმართულებით თანამედროვე ტენდენციებისა და საკითხების ინტეგრირება არსებულ პროგრამებში.

უშუალოდ პროფესიულ სასწავლებლებთან თანამშრომლობის გარდა, აგრარული და გარემოსდაცვითი პროფესიების ხელშეწყობის კუთხით, დაწყებული გვაქვს მუშაობა ცენტრის ბაზაზე მომზადება-გადამზადების მოკლევადიანი კურსების უფლების მოპოვებაზე, ზრდასრულთათვის საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებაზე, რადგან მნიშვნელოვანია დარგობრივი დეფიციტური პროფესიების პოპულარიზაცია, რაც ხელს შეუწყობს, მაგალითად, მეტყევე-ტაქსატორის, გარემოსდაცვითი მმართველის, ექსტენციონისტის და კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის სპეციალისტების მომზადებას.

აგრარული განათლების მიმართულებით გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი ძირითად აქტივობებს გაეროს განვითარების პროგრამის და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის – „საქართველოში სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული პროფესიული განათლების მოდერნიზაცია (ფაზა 2)“ ფარგლებში ახორციელებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება პროფესიულ განათლებას ეთმობა. აღნიშნული პროექტის მიზანია ცენტრის ინსტიტუციური შესაძლებლობის გაზრდა და სოფლის მეურნეობის სფეროში მომზადება-გადამზადების მექანიზმების შემოღების ხელშეწყობა, რაც მოიცავს აგრეთვე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების შექმნას საერთაშორისო პრაქტიკაზე დაყრდნობით და ცენტრის თანამშრომელთა შესაძლებლობების გაზრდას. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვა, ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამის აკრედიტაციის პროცესი, სახელწოდებით „ტყის ინვენტარიზაცია და ტაქსაცია“. პროგრამის პარტნიორია სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო. პროგრამა მიზნად ისახავს მეტყევეების გადამზადებას, ხოლო პროგრამის წარმატებით გავლის შემთხვევაში, გადამზადებულ პირებს აქვთ ძალიან დიდი შესაძლებლობა, გახდნენ ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლები. პროგრამა ხორციელდება მეტყევეობის, როგორც პროფესიის, ხელშეწყობის მიზნით, ვინაიდან დღეისათვის საქართველოში დასაქმების მიმართულებით ამ დარგის სპეციალისტების ნაკლებობაა.

გარდა აღნიშნული პროგრამისა, მიმდინარე წელს იგეგმება კიდევ სამი სასწავლო პროგრამის – გარემოსდაცვითი მმართველის, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობისა და ექსტენციის სასწავლო კურსის წარდგენა აკრედიტაციის მისაღებად.

განსაკუთრებით მინდა, აღვნიშნო პროფესიულ სასწავლებლებში კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის სასწავლო კურსის დანერგვა. ეს გახლავთ უმნიშვ-

ნელოვანესი კურსი პროფესიული განათლების საფეხურის სტუდენტებისთვის, რომელიც ადაპტირებული იქნება საქართველოსთვის – იმ პრობლემების გათვალისწინებით, რაც შეინიშნება კლიმატის ცვლილების პირობებში. ამ კურსის მიზანია, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების შეფასების, აღნიშნული რისკების შემამცირებელი ღონისძიებების შემუშავების და თანამედროვე მიდგომების დანერგვის ხელშესაწყობად, შესაბამისი პროფესიული კადრების მომზადება. კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის სასწავლო კურსი შემუშავებული და მომზადებულია საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის მიერ გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის ფარგლებში. სალექციო კურსის ძირითადი საკითხებია: საქართველოს აგროეკოლოგიური ზონების რეგიონული ასპექტები, ნიადაგურ-კლიმატური პირობებისა და კლიმატის ცვლილების გათვალისწინებით, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ტრადიციული და პრიორიტეტული მიმართულებების ანალიზი, კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვა, კლიმატის ცვლილებით გამოწვეული რისკების შეფასება.

აღნიშნული სასწავლო კურსის პროგრამა გავაცანით ყველა პროფესიულ სასწავლებელს საქართველოში, რომელსაც აქვს სოფლის მეურნეობის მიმართულებით პროგრამები და ძალიან დიდი დაინტერესება გამოიწვია.

ამასთან ერთად, გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრში მუშავდება ექსტენციის მოკლევადიანი სასწავლო კურსი, რომელიც გააერთიანებს რამდენიმე მოდულს და გააუმჯობესებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს იმ თანამშრომლების უნარ-ჩვევებს, რომლებიც ამ მიმართულებით მუშაობენ საქართველოს ყველა მხარეში. აღნიშნული კურსი შედგება ხუთი დამოუკიდებელი მოდულისგან. აღსანიშნავია ახალი თემა, რაც პანდემით გამოწვეული მდგომარეობიდან და შესაბამისი საჭიროებიდან გამომდინარე დავამატეთ – პანდემიის გამოწვევები ექსტენციაში.

სოფლის მეურნეობა და პროფესიები დღეისათვის ერთ-ერთი აქტუალური თემაა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, თუმცა საქართველოში ეს პროფესიები პოპულარობით არ სარგებლობს ახალგაზრდებში. როგორ ფიქრობთ, რა არის მთავარი მიზეზები?

დამეთანხმებით, სოფლის მეურნეობა ქვეყნის განვითარებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. დადებითი შედეგის მიღწევის წინაპირობა კი შესაბამისი პროფესიების პოპულარიზაციის ხელშეწყობაა. გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი სოფლის მეურნეობის როლის გაძლიერების მიმართულებით აქტიურად მუშაობენ, თუმცა იმისათვის, რომ აღნიშნული პროფესიები კიდევ უფრო პოპულარული გახდეს, საჭიროა საზოგადოების ცნობიერების ამაღლება, კიდევ უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდება, რაც გახლავთ ცენტრის პრიორიტეტი.

ახალგაზრდების ჩართულობისთვის აუცილებელია, ხელი შეეწყოს სოფლის მეურნეობის დარგების განვითარებას, რათა მათი საქმიანობა წარმატებული გახდეს. ასევე, მოტივაცია იქნებოდა აგრარული განათლების მიღების შემდეგ მათი დასაქმების ხელშეწყობა.

რა იქნებოდა თქვენი მთავარი გზავნილი ახალგაზრდებისადმი, რატომ უნდა ისწავლონ სოფლის მეურნეობის პროფესიები?

სოფლის მეურნეობასა და სოფლის განვითარებაში ახალგაზრდების ჩართულობა და მათი დაინტერესება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ისინი უკეთესად შეძლებენ ინოვაციური მიდგომების ფერმერებამდე მიტანას, ახალი, მოთხოვნადი პროფესიების დაუფლებას და სოფლის განვითარებისთვის საჭირო თანამედროვე მიდგომების დანერგვას. ჩვენ გვჭირდება უფრო კონკურენტუნარიანი სოფლის მეურნეობა, სადაც მეტი თანამედროვე ტექნოლოგია და ინოვაცია იქნება.

ნათია ზედგინიძე

სასტუმრო საქმის მწარმოებელი

სწავლობდა კოლეჯ „ჰორიზონტის“ სასტუმრო საქმის მწარმოებლის პროგრამაზე, რომლის დასრულების შემდეგაც დასაქმდა სასტუმრო „პარაგრაფში“. მისი უნარებისა და მონდომების გათვალისწინებით, ორჯერ დააწინაურეს სხვადასხვა პოზიციაზე. ამჟამად მუშაობს დასუფთავების დეპარტამენტში. ნათია კოლეჯის მოწვეული პროფესიული განათლების მასწავლებელიცაა – დასუფთავების მოდულს უძღვება.

მონაწილეობდა პროექტში „პროფესიული უნარების განვითარება სკოლებში“. ამ პროექტის ფარგლებში გურიის მაღალმთიანი სოფლის სკოლაში ასწავლიდა ბავშვებს თმასთან დაკავშირებულ მომსახურებას. ზამთარში, უამინდობის დროს ფეხით გადიოდა 6 კილომეტრს, რათა ბავშვები საინტერესო და სახალისო აქტივობებით გაეხარებინა.

ნათია ზედგინიძე:

პროფესიული კოლეჯი – ეს არის გზა წარმატებისკენ, სადაც შეუძლია ადამიანს გაიზარდოს პიროვნულად. მე პირადად რამდენიმე პროფესიის სასწავლო კურსი გავიარე და ბოლოს ვიპოვე ჩემი საქმე, რაც ძალიან მომწონს. ყველას, ვისაც სურს, რომ აკეთოს ის საქმე, რომელიც უყვარს, აუცილებლად მიმართოს პროფესიულ სასწავლებლებს. რაც მთავარია, იქ დაგხვდებათ შესაბამისი აღჭურვილობა საიმისოდ, რომ თეორიასთან ერთად პრაქტიკული გამოცდილებაც მიიღოთ.

„ცხოვრება დამოუკიდებელი სრულყოფილი სისტემაა, რომელიც გამუდებულად განაახლებს და აღადგენს საკუთარ თავს... შენ მისი ნაწილი ხარ...“

დონალდ უოლში

„ცვლილებების წიგნი“